№ 164

1877—1905

№ 164

ოთხშაბათი, 14 სექტემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოთხშაბათი, 14 სექტემბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

დღესასწაულისა გმო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს 16 სექტემბერს.

ქ. ბათუმში, სექტემბრის 14, გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის

სულის მოსახსენებლად, განსვენებულის საფასით აგებულ რომის კათოლიკეთა ადგილობრივ ეკლესიაში.

თებრო და გლახა აბულაძეები, ლიუბა ფოლადოვისა, ოლა იორდანოვისა, ნინა ხრიკულოვისა, შაქრო იორდანოვი და დავით ხრიკულოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი უდროოდ დაკარგულის შვილისა, მეორენი—ძმიერთასის ძმისა და დანარჩენნი—სიმამრის შვილის

სანდრო გლახას ძის აბულაძისა

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს შვიდ საათზე. ნიკოაშნის ქუჩა სახლი ოსკანოვისა, 32.
გამოსვენება ხუთშაბათს, 15 ამ თვეს, დილის 9 საათზე, სიონის ტაძარში.

პ. ნ. ფრიდონოვისა, სავაჭრო სახლის **„ძმათა სეილანოვებისა, გ. ზ. გოზალოვისა, ზ. დ. პოპოვისა** და **ე. ა. ატოევიანის**
ფაბრიკებმა ტფილისში დააარსეს

ამხანაგობა კონფეტების ფაბრიკისა „ფრიდონ“

ბატონ მომხმარებელთ ვსთხოვთ მიჰმართონ ხოლმე ფაბრიკის კანტორას: **პავლოვის ქუჩა**, სახლი № 12, ტელეფონი № 362 და „ძმათა სეილიევანოვებისა“, გ. ზ. გოზალოვისა და ზ. დ. პოპოვის მაღაზიებს. 3—1

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხელ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
ყ. ვ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ხ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.
ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ვ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 ხუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კორუბის ქუჩა, № 91.

ეროვნული განხეთქილება და დემოკრატია

—

ამ რამდენისამე თვის განმავლობაში მთელს რუსეთში აუარებელი ქაღალდი და მელანი დაიხარჯა აწინდელ ბიუროკრატიულ რეჟიმის უვარგისობისა და მავნებლობის დასამტკიცებლად. დღეს ხსენებულ რეჟიმს, თუმცა არც ერთი მისი ძირითადი კანონი ჯერ-ჯერობით არ შეცვლილა, ყველანი თითქოს ისტორიის საგნად ვთვლით, წარსულს ვაკუთნებთ, რადგან იმ მცირე ცვლილებას, რომელიც ფაქტიურად და ბიუროკრატიის ნებადაურთველად დამყარდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე შეეჩვია საზოგადოება, თავისუფლების ამ ნამცეცსაც ისე შეევთვისეთ ყველანი, რომ წარმოუდგენლად მიგვაჩნია პლევეს რეჟიმის დაბრუნება და მაშინდელ პოლიციურ ოპეკუნობის გამეფება. ასეთია დღეს სულიერი მდგომარეობა ყველა მოწინავე და შეგნებულ ელემენტებისა, და უეჭველია, რაც მეტი დრო გაივლის, მიუხედავად ბიუროკრატიის წინააღმდეგობისა, მით უფრო თავისუფლების ტრფიალება და სიყვარული გაღვივდება საზოგადოებაში და მით უფრო დიდი უფსკრული აიმართება მის სულიერ შემეცნებისა და საზოგადოების თვითმოქმედების შემბოჭველ ბიუროკრატიულ წესწყობილების შორის.

ბიუროკრატიას ბევრი ცოდვა მიუძღვის ხალხის წინაშე და მათ შორის შემდეგი „ცოდვაც“ არაა მცირე მნიშვნელოვანი: მან შექმნა ხელოვნურად და განამტკიცა ისეთი პირობები სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებისა, რომლებშიაც ეროვნული შუღლი და წინააღმდეგობა აუცილებლად სასტიკისა და ბარბაროსულის სახით იჩენს ხოლმე თავს. მან მოუსპო საზოგადოებას ყოველი საშუალება თავისუფალ კულტურულ განვითარებისა და დაუმორჩილა იგი კანცელარიის მბრძანებლობას. ამგვარ წესწყობილებაში არ არსებობს ნიადაგი სხვადასხვა საზოგადოებრივ ძალთა და მისწრაფებათა დაუფარავად გამოსამჟღავნებლად: დამუნჯებულია პრესსა, აკრძალულია შეკავშირება, შეკრება, ლაპარაკი, მსჯელობა, საზოგადოებრივ საქმეების საზოგადოების მიერვე მოწყობა. და ამიტომ ასეთი მდგომარეობა საუკეთესო ნიადაგია სხვადასხვა ჯგუფთა თუ ხალხთა განკერძოებისა და სულიერ კარჩაკეტილობისათვის. რეალური ცხოვრება არც ერთს არ აძლევს შემთხვევას, რომ ერთმანეთთან საზოგადო კულტურულ საფუძველზე დამოკიდებულება ჰქონდეთ და როგორც ბრძოლას, ისე შემოქმედებით შრომას მშვიდ კულტურულ საშუალებით ეწეოდნენ. საზოგადო უთავისუფლება, საზოგადოებრივ ძალთა შებორკვა და ერთმანეთისაგან განცალკევება ანვითარებს სხვადასხვა ხალხებში ეჭვიანობას და უნდობლობის გრძნობას და ეს უმატებს სიმწვავევს ეროვნულ წინააღმდეგობას, რომელსაც თავის-თავად ჰქმნის სხვადასხვა ერთა ერთმანეთში არეულად ცხოვრება.

უეჭველია, კავკასიაში მცხოვრებ ერებში არსებობს ეროვნული ბრძოლა და წინააღმდეგობა, და ის ლიბერალები, რომელნიც ამას ურჰყოფენ,—მხოლოდ თავის თავსატყუებენ. ეროვნულ-ანტაგონიზმსა და ბრძოლას იწვევს ხოლმე პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზი. ეროვნული დაბეჩავებაა და დაპყრობა, როცა ერთ ერს მეორე ერი დედა-ენას ართმევს, ეროვნულ კულტურას უსპობს, პოლიტიკურად იმონავებს; ეროვნული დაბეჩავებაა მაშინაც, როცა ერთი ერი მეორისგან ეკონომიურად არის დამოკიდებული, როცა მას მშვიდობიანად ტერიტორიას, მიწა-წყალს აცლიან ხელიდან, როცა საეკონომიო ბრძოლაში იგი მეზობელს ვერ უთანაბრდება და თანდათან უთხრის მას ნიადაგს. რამდენადაც ამ ბრძოლაში ორი ერის ბურჟუაზია იღებს მონაწილეობას, რამდენადაც ეს ბრძოლა მხოლოდ ორ მეტოქე ბურჟუაზიის ინტერესების შემცველია, იმდენად იგი კლასობრივია და ორ მოწინააღმდეგე ეკონომიურ ჯგუფის შეტაკებას ნიშნავს. მაგრამ რამდენადაც ხალხის ეკონომიურ განვითარებასთან შეკავშირებულია ეროვნული ზრდა-განვითარება, რამდენადაც ეკონომიური წინმსვლელობა, ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება, საწარმოვო ტეხნიკის გაუმჯობესება და, მაშასადამე, საერთო ეროვნულ კულტურის გაღვივება ობიექტიურად თან ახლავს თითოეულ ერის ბურჟუაზიის ბრძოლას, იმდენად ეს ბრძოლა ეროვნულია და მასში, ბურჟუაზიის გარდა, სხვა კლასებიც და-ინტერესებულნი არიან.

ეს არის ფაქტი, რომელიც ყველამ უნდა ვსცნათ, ვინაიდან იგი ცხოვრების მოვლენაა და ამიტომ მისი დაუნახაობა არ შეიძლება.

შემდეგ წერილში ჩვენ ამ მოვლენას უფრო კონკრეტულად გამოვხატავთ და ჩვენი ცხოვრების განვითარების მიხედვით განვმარტავთ ....

* * *

ცხოვრების გარეშე.

—

საზოგადოება ცხოვრების გარეშედ არის დატოვებული... ეს ხომ წარმოუდგენელი რამეა.

ჩვენ გვინახავს კანცელარიების კარებზე დიდმნიშვნელოვანი წარწერა: გარეშე პირთათვის შესვლა აკრძალულია. ჩვენ გვინახავს, რომ ამ მოკლე წარწერის ძალით შიგ შესვლა ეკრძალებოდა იმათ ვისაც საქმე ჰქონდა იქ საშური, ვისთვისაც არსებობდა ეს კანცელარია, ვინც ინახავდა მას, ვინც ამიტომ შიგ უცხოდ არ უნდა ყოფილიყო. გვინახავს, რომ იგი გარედ გამოუსტუმრებიათ, და უთქვამთ: ხვალ მოდი ხვალო.

ჩვენ გვინახავს გაზეთებზე წარწერა: რედაქციაზე დამოუკიდებელ მიზეზთა გამო დღევანდელ ნომრისთვის დამზადებული წერილები ვერ იბეჭდებაო. გვინახავს რომ გაზეთებში ვერ დაბეჭდილა ისეთი ამბები რომელიც ხალხის თვალის წინ მომხდარა, რომელიც ყველამ იცის და რომლის დამალვა ამიტომ სრულებით უსარგებლო და უსაფუძვლოა, რომ ამის გამო საზოგადოებაში ხშირად მართალი ამბების მაგივრად ჭორები გავრცელებულა, რომელიც, ზეპირად გადაცემული, თანდათან იზრდებოდა და ბოლოს ხალხის უკმაყოფილებასა და არეულობასაც იწვევდა. და როდესაც საზოგადოება პრესსის თავისუფლებაზე დაიწყებდა ლაპარაკს, ჩვენ გვინახავს რომ ეუბნებოდნენ, მოიცადეთ, მოითმინეთო,—ხვალ ან ზეგ კობეკოს კომისია ახალ საცენზურო კანონებს შეიმუშავებსო.

ასეთი სხვადასხვა კომისიებზე მითითება ცხოვრების სხვა დარგებშიაც გვინახავს,—მუშათა საკითხი, საადგილმამულო საქმე, სოფლის მეურნეობა, სასწავლებლების მდგომარეობა, ხალხის პოლიტიკური განვითარება, სახელმწიფოში ეროვნული თანასწორობა,—ყველგან, სადაც აშკარად თავს იჩენს ცხოვრების ახლანდელი მოუწყობლობა, ადამიანს არსებულ კომისიებზე უთითებენ და ეუბნებიან,—მოიცადეთ, **იქ** გადაწყდებაო.

და ხალხიც იცდის... იცდის, სანამ იქ, იმ კომისიებში ვიღაც, მისთვის უცნობი პირები მის ბედის გადაწყვეტას დაასრულებენ. შეჰყურებს იმ კომისიებს, სადაც მხოლოდ სხვა ვიღაცისაგან „რჩეულთ“ შეუძლიანთ დასწრება, სადაც ხალხს წინ უხვდება ნაცნობი წარწერა: „გარეშეთათვის შესვლა აკრძალულია“. ამ კომისიებში ცხოვრების ყოველივე მხარეს შესახები საკითხი წყდება და ყველგან ხალხი „გარეშე“ არის, ყველგან მას შიგ შესასვლელი კარები დახშული აქვს.

მაგრამ თუ შიგ შესვლა აკრძალულია, გარეთ გაჩერებას ხომ ხალხს ვერ აუკრძალავს არავინ და ხალხიც, გარედ დარჩენილი მაშინაც აღარ ეშურება შიგ შესვლას, როდესაც მას ეპატიჟებიან და ჰპირდებიან, აქ ყველა საქმეზე შენ აზრს მოვიკითხავთო...

გარეთ მეტია ადგილი. ცხოვრება დღემდის კანცელარიების ჯურღმულებში მომწყვდეული, დღეს გარედ გამოვიდა თვითონ და ხალხიც ამიტომ მას კანცელარიებში აღარ ეძებს და გარედ დარჩენას არჩევს. აქ, გარედ, კანცელარიების ვიწრო კალაპოტს გადაცილებული, ცხოვრება დუღს თავისუფლად, ტყე-ღრეში, მინდორსა და ქუჩებში ათასფერად იცვლება და უსიცოცხლო ადამიანსაც კი იზიდავს და თან იტაცებს. აქ, უწინდელ რეჟიმის მძიმე უღელს მოშორებული ახლად იფურჩქნება ცხოვრების ძალები და აქვე გზა ხსნილი არის ყველასთვის და არა სჩანს ის, ძველი დროის დამახასიათებელი წარწერა: „შესვლა აკრძალულია“ და აღარ ისმის ძველი დროის ჩვეულებრივი—ხვალ, ხვალო! ცხოვრება შეუჩერებლად წინ მიისწრაფვება და მას ყველაფერი დღეს უნდა, ახლავე.

ხომ გინახავთ გაზაფხულზე ადიდებული მდინარე, რომელიც კლდეს ეხეთქება და კალაპოტში ველარ ეტევა, აგერ მან გაარღვია ნაპირი და ახალი კალაპოტი იშოვნა,—ის კლდე, მის თავისუფალ მსვლელობის დამაბრკოლებელი, განზე დარჩა განმარტოებით, ყოველსავე ძალას და მნიშვნელობას მოკლებული.

ცხოვრების განვითარებაში განზე რჩება ყველა ის დაწესებულება, რომელიც ხელს უშლის ამ განვითარებას, ახალი ძალები ახალ სახეს აძლევენ ცხოვრებას. ძველი დროის დამახასიათებელი, ყოველი რამე სასიცოცხლო ძალასა და მნიშვნელობას მოკლებული, თანდათან ისპობა და ყოველივე ის, რაც წინედ გარეშე სტოვებდა ხალხის უმეტესობას, ახალ ძალების გავლენით თვითონვე ცხოვრების გარეშე რჩება...

ი. ლ—ძე.

* * *

აუცილებელი გზა.

—

წარმოიდგინე, მკითხველო, უზარმაზარი ეტლი: ეტლში შებმულია ურიცხვი ხალხი, ეტლზე-კი წამომჯდარა რამდენიმე პირი, ხალხიც გარბის თავდავიწყებული, და უზარმაზარი ეტლი მიჰქროლავს სტოვებს დახოცილებსა და დასახიჩრებულთ.

ამგვარ ეტლს წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიული ცხოვრება; ხალხი დაფუსფუსებს, სადღაც მიისწრაფის, შრომობს, ოფლსა ღვრის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უმეტესობას შიან, სწყურიან, უმეტესობა უბედურია: შიმშილი, სიცივე, სიღატაკე,—აი, მისი ხვედრი. უმცირესობა-კი ფუფუნებაში და განცხრომაშია,—ის სტოლზეა წამოსკუპული და სიცილ-ხარხარით მიერეკება დამშეულსა და დატანჯულ ხალხს.

აიღეთ, რომელი ხანაც გენებოთ კაცობრიობის ცხოვრებისა,—ყველგან ერთსა და იმავე სურათს დაინახავთ: უმცირესობა უმრავლესობას კისერზე აზის და ყვლეფავს, ყვლეფავს შეუბრალებლად. ერთი ხანა მეორისაგან მხოლოდ მით განირჩევა, რომ ეს ყვლეფა სხვადასხვა ხანაში სხვადასხვა სახით სწარმოებს, სხვადასხვა სამოსელშია გახვეული, სხვადასხვა გვარად არის დაკანონებული. ისტორია კაცობრიობისა არის უდიდესი მოთხრობა ამ ყვლეფისა და საშინელი ტრაგედია გაყვლეფილთა ბრძოლისა.

აუტანელი იყო მდგომარეობა მონებისა, აუწერელი იყო მათი ტანჯვა. მონა არსად არ ითვლებოდა ადამიანად; ის ყოველგან მოკლებული იყო ყოველგვარ ადამიანურ უფლებებს; ის იყო უბრალო ნივთი და შეადგენდა თავის ბატონის სრულ საკუთრებას; ძაღლის მდგომარეობა ბევრ წილად სჯობდა იმის მდგომარეობას. სულ უბრალო მიზეზი საკმარისი იყო, რომ ბატონს მონა მოეკლა, ჩამოერჩო, ან ფისით გაეგლისა თავპირი და შემდეგ ცოცხლად კანი გაეძრო. საქმელს აჭმევდნენ მხოლოდ იმდენს, რომ სიმშილით არ მომკვდარიყო და დღე და ღამე ოც საათს ამუშავებდნენ! მონას უფლება არა ჰქონდა, ავად გამხდარიყო; მომაკვდავიც რომ ყოფილიყო, მაინც უნდა ემუშავნა და მომაკვდავ მონას სამუშაოზე ამოსვლოდა სული; მკვდარსაც ხშირად მათრახებს უშენდნენ: ტყუის, თავს იმკვდარუნებსო! მონების ტანჯვა, მონების ცრემლები სქელ ღრუბლად შამოხვეოდა დედამიწას გარშემო. ბატონები-კი ხარხარებდენ და ხითხითებდნენ, სულიერი მამები-კი სათნოებასა და მორჩილებას ქადაგებდნენ! ბატონის მორჩილებით ღვთის ნებას ასრულებთო,—მონებს არიგებდნენ!! ბევრჯერ აჯანყდნენ მონები, ბევრჯერ მოირწყო მათის სისხლით ქვეყანა. პირველ საუკუნეში ქრისტეს წინად გამოჩენილი სპარტაკის მეთაურობით მათ ძლიერი იერიში მიიტანეს ბატონებზე, მათ უნდოდათ თავისი სისხლით ტანჯული მონების, ტანჯული ხალხის გასთავისუფლება, მაგრამ ტანჯულთა სისხლს კიდევ მიემატა უნაყოფოდ დაღვრილი სისხლი, ბატონებმა მონები დაამარცხეს, ურჩი მონები ათასობით ჯვარს აცვეს რამოდენიმე ვერსის მანძილზე, ხალხმა კი განაგრძო ძველებურად წევა ტანჯვა-წვალებისა და დამცირების ჰაპანისა.

მონობა შეიცვალა. კაცობრიობამ დაიარსა ბატონ-ყმური ურთიერთობა. ამ ურთიერთობაში მონა ყმად მონათლეს, ტყავს-კი მაინც ძველებურად აძრობდნენ! ბევრგან აჯანყდნენ ყმები. მაგრამ მათი სისხლი მიემატა სხვა ტანჯულთა სისხლს, რომლითაც დედა-მიწა გაჟღენთილია. ყმებმა ძლიერი იერიში მიიტანეს ბატონებზე ევროპაში მეთოთხმეტე საუკუნეში, ბევრ უსამართლობას სამართლიანი სამაგიერო მიუზღეს, მაგრამ ბოლოს ძალმომრეობამა და უსამართლობამ გაიმარჯვა მაინც და ბატონები მაშინ დამშვიდდნენ, როცა მთელი საფრანგეთი აღდგომის კვერცხივით წითლად შეიღება ყმების სისხლით.

დადგა კაპიტალისტური ხანა წარმოებისა, დამკარდა ბურჟუაზული წყობილება, რომელმაც ყმა მუშად, პროლეტარად მონათლა. პროლეტარი სიტყვით თავისუფალია, ნამდვილად კი მონაა, ძველებური მონა, რომელიც იძულებულია გროშებში სული და ხორცი მიყიდოს თავის აღას. თუ მონას სამუშაოზე ამოსდიოდა სული, პროლეტარსაც სამუშაოზე ამოსდის სული. არის ბევრი დარგი წარმოებისა, სადა მუშა შუათანა რიცხვით ორმოც წლამდე ძლივსა სცოცხლობს.

როდესაც უკვირდები, მკითხველო, ცხოვრებას და ხედავ, რომ ის მხოლოდ გარეგნულად იცვლის სახეს, ძირითადი უსამართლობა კი უმცირესობისაგან უმრავლესობის დამონება, ტანჯვა და ყვლეფა—ჩონჩხს შეადგენს კაცობრიობის მთელი ისტორიისას, ნუ თუ გული სიბრაზითა და ზიზღით არ გევსება? ბრაზმორეული ნუ თუ გულში მუშტს არ ჩაიკრავ და არ ამოიძახებ: ნუთუ ხალხის ტანჯვას აღარა აქვს საშველი და საზღვარი? ნუთუ ქვეყნად არაოდეს არ დამყარდება ისეთი წყობილება, ისეთი ურთიერთობა ადამიანთა შორის, სადაც ხალხის ყვლეფას, ხალხის მონობას, ხალხის დაბეჩავებას, სიმშილსა და წყურვილს ალაგი აღარ ექნებაო?! ამოიძახებ მკითხველო, თუ ადამიანი ხარ, თუ გული ადამიანურად გიცემს, თუ გრძნობა არ დაჩლუნგებია... ამოიძახებ, ამოიძახებ! დამიჯერე: ხალხის ტანჯვას უნდა მოეღოს ბოლო, ხალხის მონობა, ხალხის ყვლეფა უნდა მოისპოს. თუ დღემდე ხალხის ყოველი მეცადინეობა ამ მხრით უნაყოფოდ ჩაივლიდა ხოლმე, აწი აღარ ჩაივლის უნაყოფოდ, რადგანაც ყველა ტანჯულნი ცხოვრებამ იმგვარ გზაზე შეაყენა, რომლის ბოლოშიაც ტანჯულთა განთავისუფლებაა, გაყვლეფილთა უფლებების აღდგენა და მყვლეფელთა დამხობა და განადგურება. რა არის ეს გზა, სადით მიდის ის?

ეს გზა არის გზა მუშათა კლასისა. ის მიემართება სოციალიზმისაკენ. თუ ერთ დროს იესო ქრისტე მოუწოდებდა ყველა მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთ: მოდით ჩემთან და მე განგისვენოთ, დღეს ყველა მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეებმა, ყველა შევიწროებულებმა, ყველა ღარიბ-ღატაკებმა, ყველა დაჩაგრულებმა, ყველა მონობის უღელქვეშ მყოფმა თვითონ უნდა მოუწოდონ ერთმანეთს: შევერთდეთ, ხელი-ხელს მივცეთ, გული გულს შევუთანხმოთ, მტკიცედ შევდგეთ საერთო გზაზე და იმედით აღსავსენი გავეშურებოდ საერთო მიზნისაკენ. შენ ალბად იტყვი, მკითხველო, მონებიც იმედით იყვნენ აღსავსენი მაგრამ მათი იმედი ჯვარზე დარჩა გაკრული, ყმებიც იმედით მოქმედებენ მაგრამ დამარცხდნენ. ამით რისი თქმა გინდა? იმისი, რომ დღესაც იგივე დამარცხება გამეორდება? იმისი, რომ დღესაც გაცრუვდება იმედი? არა და არა, ათასჯერ არა! დღევანდელი მისწრაფება, დღევანდელი იმედი სხვა ნიადაგზეა, სხვა ცხოვრებაზე არის აშენებული, ვიდრე ყველა წარსული იმედები. მონები აამხედრა გრძნობამ და არა გონებამ. ისინი გრძნობამ გაიტაცა, გონებამ კი მათ გზა ვერ უჩვენა და ამიტომ ისინი კლდეზე გადიჩეხნენ, დაილუპნენ, დამარცხდნენ. აუტანელმა ცხოვრებამ მათი მოთმინების მაგარი ჯაჭვიც კი გაწყვიტა, გრძნობამ თავისუფლება იგრძნო და თან გაიტაცა მონები. ისინი მიდიოდენ, იბრძოდენ, იხოცებოდენ, მაგრამ სად მიდიოდენ, გარკვეული არა ჰქონდათ. თავისუფლებისაკენ მიდიოდენო, მეტყვი შენ. დიახ, თავისუფლებისაკენ მიდიოდენ, მაგრამ მათ არ იცოდენ, როგორი უნდა ყოფილიყო მათი თავისუფლება, მათ არ იცოდენ, როგორ და რა გზით შეიძლებოდა ამ თავისუფლების მოპოება.

აუტანელმა მდგომარეობამ აამხედრა ყმებიც. გრძნობამ გაასალკლდევა მათი გული და გამოიყვანა ისინი ბრძოლის ველზე, მაგრამ გონებამ ვერ მოზომა გრძნობის მოქნეული: ყმებს უნდოდათ ერთბაშად მოპოება იმისი, რაც გაწესრიგებული, მოფიქრებული და ხანგრძლივის ბრძოლით უნდა მოეპოებინათ. მათ ან ერთბაშად უნდა გაემარჯვათ, ან ერთბაშად უნდა დამარცხებულიყვნენ. ბილწმა ცხოვრებამ, ბილწმა კლასებმა სძლიეს ისინი,—ყმები დამარცხდენ. ძირითადი საფუძველი, ძირითადი ნიადაგი ძარცვა-გლეჯისა, ძალადობისა და ყვლეფისა, ერის კლასებად დაყოფისა და ფუფუნება-სიღატაკისა, საწარმოვო იარაღთა კერძო საკუთრება იყო და არის; მონებსა და ყმებს კი უნდოდათ სრული სამართლიანობის დამყარება ძალმომრეობისა და ყვლეფის ალაგას და ამავე დროს კი კერძო საკუთრების ხელუხლებლობა.

სულ სხვაა მუშათა კლასი. იგი მთელ თავისი არსებით სამშობლოა სოციალიზმისა, ის თვით ცხოვრებამ, თვით ისტორიის მსვლელობამ მოათავსა სოციალიზმის ფარგლებში. პროლეტარიატი სოციალიზმის ნიადაგზე დგას უკვე, მისი დაძვრა აქედან არავითარ ძალას აღარ შეუძლიან. პროლეტარიატი მოკლებულია წარმოების ყოველგვარ იარაღს, ის ჩაბმულია გასაზოგადოებულ წარმოებაში, ის მთელი საზოგადოებისთვის შრომობს, ამიტომ ის მთელი თავისი არსებითა და მოქმედებით სოციალისტია, ის უკვე სოციალიზმის ფარგლებშია მოთავსებული და რაც მას თვითონ ისტორიულმა მსვლელობამ არგუნა, ვერავინ წაართმევს. პროლეტარიატს აქედან ველარავინ ველარ დასძრავს, რადგანაც ისტორია უკან აღარ გატრიალდება.

მაგრამ საზოგადო ცხოვრება, დანარჩენი კლასები ჯერ კიდევ სოციალიზმის გარედ არიან, საწარმოვო იარაღები კერძო საკუთრებას შეადგენს, თუმცა წარმოება უკვე გასაზოგადოებუ-

ლია; გასაზოგადოებულ წარმოების ნაყოფს კერძო პირნი ისაკუთრებენ, ყველა ამგვარნი წინ ელობებიან პროლეტარიატის მისწრაფებას და, აი, აქ სჭირდება ბრძოლა პროლეტარიატს. მისი ბრძოლა ერთიანად გონებაზეა დამყარებული. თავისი ბრძოლის დროს, ის მხოლოდ ცხოვრების შეგნებით ხელმძღვანელობს და არა გრძნობით. პროლეტარიატის ბრძოლა თანდათანია, ყოველ მოგებულ საქმეს, ყოველ ნაბიჯს, წინ გადადგმულს, ის შესაფერის უფლებით განამტკიცებს ხოლმე,—ცალიერის გამარჯვებით ის არ კმაყოფილდება; ამიტომ პროლეტარიატის უფლებები დღითი-დღე იზრდებიან, პროლეტარიატი თანდათან უახლოვებს საზოგადოებრივ ცხოვრებას იმ ნიადაგს, რომელზედაც თვითონ არის შემდგარი. რასაც მოიპოვებს პროლეტარიატი, ისე მტკიცედ მოიპოვებს, რომ შემდეგ აღარ დაჰკარგავს. ის ფრთხილად, წინდახედულად მიეზიდება ცხოვრებას სოციალიზმისკენ და ამიტომ მისი სამუდამოდ დამარცხება ისე, როგორც მონები და ყმები დამარცხდენ, შეუძლებელია. შეიძლება, რაიმე მძლავრი დაბრკოლება გადაეღობოს მის მოძრაობას წინ, მაშინ მუშათა კლასის ძლევა-მოსილი მსვლელობა შეფერხდება რამოდენიმე ხნით, მაგრამ ეს იქნება მებრძოლთათვის დროებითი შეჩერება, შესვენება. რაც უფრო ვითარდება და ძლიერდება კაპიტალისტური ცხოვრება, მით უფრო ძლიერდება, მით უფრო მრავლდება, მით უფრო ერთიანდება პროლეტარიატი. რაც უფრო ვითარდება კაპიტალისტური წარმოება, მით უფრო საზოგადო სახეს იღებს ხალხის შრომა; ამგვარად კაპიტალისტურ წარმოების ნიადაგზე თანდათან ძლიერდება შრომის გასაზოგადოება და ამით ცხოვრება თანდათან უახლოვდება სოციალიზმს. კაპიტალისტურ წარმოებასა და შრომის გასაზოგადოების ერთად მსვლელობა, მუდამ ერთად განვითარება არ შეუძლიანთ და, როდესაც შრომა საკმაოდ გასაზოგადოვდება და პროლეტარიატის უფლებანი საკმაოდ გაფართოვდებიან, გასაზოგადოებული შრომა დაამარცხებს კაპიტალის მონოპოლიას, ყველა საწარმოვო იარაღებს გაასაზოგადოებს და ააშენებს ცხოვრებას სოციალიზმის ნიადაგზე.

ამგვარი ბურჟუაზიულ წყობილების დამარცხება და დაამხობა, სოციალიზმის გამარჯვება და დამყარება აუცილებელია; ამას მოითხოვს თვით დღევანდელ ცხოვრების განვითარება. რაც უფრო წინ მიდის ცხოვრება, მით უფრო უახლოვდებიან ყველა მყვლეფელნი თავის სამარეს; რაც უფრო ვითარდება ცხოვრება, მით უფრო უახლოვდებიან ყველა გაყვლეფილნი თავის აღდგომას, თავის განთავისუფლებას...

ი. გომართელი.

ეროვნული საკითხი

(ს. კოტლიარევსკისა)

რუსეთს ძირითადი განახლება მოელის, მის საზოგადო ცხოვრების არც ერთი მხარე შეუცვლელი ვეღარ დარჩება და ამ დროს ადამიანმა, რეფორმის სიდიადით შეშინებულმა, თუ მოისურვა ახალი ძალების ძველ კალაპოტში ჩამოყალიბება,—ცხადია, რომ ამნაირ მოქმედებას შეუძლიან დიდი საფთხე გამოიწვიოს.

ვისაც რუსეთის განახლების საქმე მოეკითხება, იმას მოეკითხება ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაც. ის დრო წავიდა, როდესაც განმანთავისუფლებელ რეფორმის ყოველ მოწინააღმდეგეს თავის აზრების დასამტკიცებლად საბუთად ავსტრიის მაგალითი მოჰყავდა, როდესაც ამბობდნენ, რომ მხოლოდ გაბატონებულ და ძლიერ ბიუროკრატიას შეუძლიან უზრუნველ-ჰყოს რუსეთის მთლიანობა და შეუძლებლად გახადოს არა-რუს ერთა გაბატონება რუსეთში. ის დრო წავიდა, როდესაც რუსი „პატრიოტები" აცხადებდნენ,—ნურც ჩვენ გვინდაო თავისუფლება, ოღონდ პოლონელები,—ებრაელები, ფინლიანდელები და სხვებიც დარჩნენ ახლანდელივით დამონებულნი.... ამ მიმართულების შედეგი მალე გამოჩნდა ყოველგან: ფინლიანდიასა და კავკასიაში, პოლონელებსა და ებრაელებში, ყველგან თანდათან უნდობლობა გაძლიერდა, იმატა სიძულვილმა და მტრობამ, ბრძოლის სურვილმა შელახულ უფლებების აღსადგენად, თანასწორობის მოსაპოვებლად.

უნაყოფოდ არ ჩაუვლია ზოგიერთ გაზეთის ეროვნულ გადამტერებას: რუსეთის ხალხს ეს გაზეთები აშინებდნენ სხვადასხვა ეროვნებაში რუსების საწინააღმდეგო სეპარატიზმი ფეხს იკიდებსო, ამ სეპარატიზმის აღმოსაფხვრელად რეპრესიები საჭიროა არისო...

ის დრო წავიდა! ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ამ გზით სახელმწიფოს მოწყობა არ შეიძლება, რომ არც ერთი ეროვნება ვერ შეურიგდება თავის დამონებას სახელმწიფოში,—ამიტომ საჭირო შეიქმნა იმის გარკვევა, თუ რა გზით, რა საშუალებით შეიძლება ყველა ეროვნების დაკმაყოფილება?

რუსეთის მთლიანობა სასურველია რუსეთში მცხოვრებ ყველა ეროვნებისთვის. ეროვნული სხვადასხვაობა სპობს ამ მთლიანობას თუ არა? მთლიან სახელმწიფოშიაც სხვადასხვა ეროვნებას შეუძლიან; მოიპოვოს ბედნიერება და მაშინ მათთვის ეს მთლიანობა სასურველია. სეპერატიზმი აუცილებლად ფეხს იკიდებს მხოლოდ იქ, სადაც ერთი გაბატონებული ეროვნება აცხადებს,—ეს სახელმწიფო მე მეკუთვნისო, როგორც რუსეთში „პატრიოტები" გაიძახიან, რუსეთი—რუსებისთვისაო, თითქო პოლონელები, ფინლიანდელები, ქართველები, ან სომხები მათთან თანასწორ უფლებიანი არ უნდა იყვნენ სახელმწიფოში. რუსეთის მთლიანობის ნამდვილი დამრღვევი გამოდიან ისინი, ვინც ამ მთლიანობის გულისთვის სხვებს უსპობენ თანასწორობას.

აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია ამ მთლიანობის ეკონომიური სარგებლობა გამოვარკვიოთ,—რუსეთის სხვადასხვა ნაწილისთვის ამ მხრივ მთლიანობას ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვს. მთლიან სახელმწიფოს სხვა მხრივ უეჭველი მნიშვნელობა აქვს: დიდ სახელმწიფოს შეუძლიან ის, რაც შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს პატარა სახელმწიფოსთვის; იქ, სადაც სხვადასხვა ეროვნება ერთად მოქმედობს, მათი ცხოვრების ნაყოფიც უფრო მდიდარია. საჭიროა მხოლოდ, რომ ყველას თანასწორი უფლება ჰქონდეს მინიჭებული რომ ეროვნულ თვით გამორკვევის პრინციპი მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი არ დარჩეს და ნამდვილადაც განხორციელდეს. ვერავითარი ზომა, რეპრესია, ან განმათავისუფლებელი რეფორმა ვერ დაამშვიდებს ხალხს, თუ თვით გამორკვევის პრინციპი შელახული იქმნა და ხალხს ნება არ მიეცა თავისი საქმეები მოაწყოს ისე, როგორც მასვე სასურველად მიჩნეული აქვს.

ამისთვის კი აუცილებლად საჭიროა ენის და სარწმუნოების სრული თავისუფლება. ამ ორ საქმეში ძალადობა უსარგებლოა. რას მიაღწია გერმანიის მთავრობამ პოზნანში, როდესაც სცადა ძალით შემოეღო გერმანული ენა იქაურ სასწავლებლებში? ვერაფერს! იყოს რუსული ენა რუსეთში, მაგრამ მასთან ერთად იყოს სხვა ეროვნული ენებიც,—პოლონური, ლიტვური, ქართული, სომხური! გაისმას ყველა ეს ენა სასწავლებლებში, სხვადასხვა ადგილობრივ დაწესებულებაში შეიძლოს ხალხმა თავისუფალი ცხოვრება რუსეთში.

განუსაზღვრელი, შეუზღუდველი უნდა იყოს აზრის თავისუფლება და სარწმუნოების თავისუფლებაც.

მაგრამ ესეც საკმარისი არ არის. საჭიროა ამასთანავე, რომ თავისუფალი ადგილობრივი დაწესებულებანი მოეწყოს, ერობა თანდათან რუსეთის ყველა კუთხეში შემოვა, ეს ერობა ხელს შეუწყობს ეროვნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და შემდეგში ამ ერობებს უფრო ვრცელი ტერიტორიული საფუძველი მიენიჭებათ. პოლონეთში მაგ. ათი გუბერნია არის და ამიტომ ათი ერობა იქმნება, მაგრამ ათსავე მრავალი საერთო მიზანი აქვს, ათივე საერო ეროვნულ ცენტრისკენ იწევა და ამიტომ ცხადია, რომ, ადრე იქმნება თუ გვიან, შესდგება ერთი პოლონური ერობა.

რაკი ერობა გადიდებული იქმნება, ამიტომ მას მრავალი ისეთი საქმე დაეკისრება, რომელიც ახლა რუსეთის ერობას არა აქვს,—მაგ. კანონმდებლობა. კანონმდებლობის და მართვა-გამგეობის სრული დეცენტრალიზაცია რუსეთში აუცილებელი რამაა და სრულიად რუსეთის კანონმდებლობა და მართვა-გამგეობაც გაადვილდება, როდესაც ამ საქმეს იკისრებს ადგილობრივი თვითმართველობა. ამნაირი ადგილობრივი თვითმართველობა კანონმდებლობის უფლებით აღჭურვილი ადვილად მოსპობს ახლანდელ ეროვნულ განხეთქილებას. ეს ფართო თვითმართველობა რომ არ არღვევდეს სახელმწიფოს მთლიანობას, ამისთვის საჭიროა ამ თვითმართველობათა საერთო წარმომადგენლობა საერო საქმეების გასაძღოლად.

თქმა არ უნდა იმას, რომ აქაც რუსეთის ყველა კუთხისათვის ერთი და იგივე წამალი არ გამოდგება: სხვა გზით უნდა მოეწყოს საქმე ფინლანდიაში,—სადაც უნდა აღდგენილ იქმნეს უწინდელი წესები,—სხვა გზით-პოლონეთში სადაც ხალხმა უნდა დასძლიოს საუკუნოების განმავლობაში გაზრდილი სიძულვილი და უნდობლობა, და კიდევ სხვა გზით კავკასიაში, სადაც საჭიროა სხვადასხვა ეროვნებებისთვის ერთად მშვიდობიანი ცხოვრების ნიადაგი მოაწყოს ადამიანმა. ნაირნაირია ყველგან ხალხის მიზანი, ისტორიული უფლებები და კულტურული მოთხოვნილება. ერთხელვე გამორკვეული ფორმულა არ გამოდგება, საჭიროა ეროვნულ გრძნობათა და სურვილების პატივისცემა, უნდა იგრძნოს ყველამ, თუ რამდენი ძალაა მიმალული სხვადასხვა ეროვნებაში, რომელიც რუსეთის სხვადასხვა კუთხეშია დასახლებული (პრ.).

სიკვდილით დასჯა

(მ. ელიაშევის წერილიდან).

—:—

არსებულ კანონის იმნაირ განმარტებას, რომლის ძალითაც სამხედრო სასამართლოები მცირე წლოვან დამნაშავეთ სიკვდილით სჯიან, ზოგიერთები უკანონოდ აცხადებენ, თუმცა უმაღლესი სამხედრო სასამართლო ამნაირ გადაწყვეტილებას ყოველთვის სცნობდა კანონიერად და ამტკიცებდა.

მართლაც რომ დასაფიქრებელია, როდესაც პროფესორები და მეცნიერები უკანონობას ეძახიან იმას, რის ძალითაც ადამიანს სიცოცხლეს უსპობენ... დასაფიქრებელია, როდესაც ზედიზედ სიკვდილით ისჯებიან მრავალნი. ჟურნალ-გაზეთებში მოყვანილია რამდენიმე მაგალითი მცირე წლოვანთა სიკვდილით დასჯისა, მაგრამ განა მარტო ისინი დასაჯეს სიკვდილით, ვინც გაზეთებშია ხოლმე ჩამოთვლილი? სიკვდილით დასჯას მოელის ციხეში გოლდინი, რეხტინი, პავასარი, უპესკალნი, მილგალი, სიკვდილით დასჯას მოელიან: ასსარასი თავის ცოლით, ძმები ანსები და მრავალი სხვა... ამათ რიცხვში,—როგორც მკითხველიც დაინახავს,—ქალიც ურევია... ყველა ესენი, იქნება, ერთად ჩამოჰკიდონ სარჩობელაზე და, როდესაც ერთს ძმას დასჯიან, უეჭველად მეორე თავის ძმის დასჯის მოწმე გახდება, ქმარს ცოლის წინ დაარჩობენ, ან ცოლს ქმრის წინ... ასეთი სიმკაცრე გაძლიერებულ დაცვის არც ერთ მუხლში არ არის მოხსენებული.

რამდენია კიდევ ისეთი დატუსაღებული, რომლებსაც ახლო მომავალში სამხედრო სასამართლოში მისცემენ!.. მე აქ მხოლოდ იმათ შესახებ ვლაპარაკობ, რომლებიც ვილნოს სამხედრო სასამართლომ გაასამართლა, ან რომლებსაც შემდეგში გაასამართლებს... იმის დასამტკიცებლად, თუ რა ზომამდის მიდის მცირე წლოვანთა სიკვდილით დასჯა, საჭიროა ერთი მაგალითი მოვიყვანოთ! პერსინის საქმის გამო სასამართლომ ერთხმად აღიარა, რომ ცხრამეტი წლის ყმაწვილის სიკვდილით დასჯას საქმის ვითარება არ მოითხოვსო—და **ერთხმადვე** დარჩობა გადაწყვიტა.

როგორ მოხდა, რომ სასამართლომ საჭიროთ არა სცნო ადამიანის სიკვდილით დასჯა, მაგრამ ამისდა მიუხედავად, მაინც ჩამორჩობა მიუსაჯა? იქნება არც ერთმა მოსამართლემ არ იცოდა თავისი მოვალეობა, როგორც მოსამართლისა და ადამიანისა? ან იქნება არც ერთმა მოსამართლემ კანონები არ იცოდა? მაგრამ ეს ხომ წარმოუდგენელია!.,

მაშასადამე, ამის მიზეზი სულ სხვა რამ უნდა იყოს, რაღაც დაფარული, საიდუმლოებით მოცული .: ან იქნება ეს რამე ცირკულიარის ბრალია?

იქ, სადაც საქმე ადამიანის სიცოცხლეზე არის, საზოგადოების სინდისი დამშვიდებული ვერ იქნება... მით უფრო ვერ იქნება დამშვიდებული, როდესაც მის წინ ადამიანს სარჩობელაზე ჰკიდებენ... ადამიანის სიცოცხლის საქმეში კანონის შეცვლა ვერავითარ ცირკულიარს ვერ შეუძლიან...

ამ საქმის განმარტებას მოელის ყველა, პასუხს ელის საზოგადოების სინდისი, რომელიც სხვანაირ პასუხს ვერასგზით ვერ შეურიგდება! პასუხს მოელიან რუსეთის სხვადასხვა ციხეებში დატუსაღებულები! პასუხს მოელიან თვით მოსამართლენი, რომლებსაც სურთ, რომ მათი რწმენა ცირკულიარის ბორკილებისაგან სრულიად განთავისუფლებული შეიქმნეს. (პრავო).

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 სექტემბერი.

ხარკოვი, 12 სექტემბერი. აქაურ უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეებს კრებები ჰქონდათ. ხმის უმრავლესობით გადასწყვიტეს, სწავლა განაახლონ.

ოდესა, 12 სექტემბერი. გენერალის კონდრატენკოს ქვრივი, ქმრის გვამის დასახვედრად ოდესაში მოვიდა.

განჯა, 12 სექტემბერი. ქალაქ-შუშას მახლობლად სრული მშვიდობიანობაა.

პარიზი, 13 სექტემბერი. ყოფილი სამხედრო მინისტრი, კავენიაკი, გარდაიცვალა.

სტამბოლი, 12 სექტემბერი. პოლიციამ პერაში დიდს ყაზარმის ქვეშ საიდუმლო შესასვლელი აღმოაჩინა. რამდენიმე ნაღმი იპოვეს. ყაზარმის ქვეშ სომხები მუშაობდნენ. ამ ცნობამ ქალაქის მცხოვრებლებზე დიდ შთაბეჭდილება მოახდინა.

ბუდაპეშტი, 12 სექტემბერი. კოალიციის მეთაურებს ათიათასი კაცისაგან შემდგარი ბრბო დახვდა, კოშუტის პატივსაცემლად მღეროდნენ და „ძირს დინასტია", „გაუმარჯოს რევოლუცია"-ს იძახდნენ. კოშუტმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ამას შემდეგ მთელი ერი ერთს ბანაკად შეერთდებაო.

ვენა, 12 სექტემბერი. ჩართკიმ განაცხადა, რომ საკოალიციო პარტიის უნგრეთის ჟურნალისტებთან არავითარი მოლაპარაკება არა ჰქონია.

ვენა, 12 სექტემბერი. საარჩევნო კანონის შესახებ კოალიციის მოთხოვნის უყურადღებოდ დატოვების შემდეგ, ადვილად შესაძლებელია, კრისტოფი უნგრეთის კაბინეტის უფროსად დანიშნონ. დღეს ფეიერვარი მოვიდა. ახლა უნდა გადასწყდეს: თავის თანამდებობაზე დარჩება ის, თუ არა. თუ კაბინეტის მოთავედ ისევ ფეიერვარი დარჩა, იმპერატორი იძულებული გახდება, საარჩევნო კანონი შესცვალოს.

მილანი, 12 სექტემბერი. დღეს დიდით მეფის თავმჯდომარეობით ნავოსანთა მეთე საერთაშორისო კონგრესი დაიწყო.

ტოკიო, 11 სექტემბერი, ზავშეკრულობის რატიფიკაციის შემდეგ, ბრიტანიის შორეულ აღმოსავლეთის ესკადრა ოქტომბრის პირველ რიცხვებში მივა ტოკიოში, სადაც იაპონიის ფლოტსაც თავს მოუყრიან. გაზეთი „ასახი" ისევ გამოვიდა.

ბერლინი, 11 სექტემბერი. საღამოთი ვიტტემ რიხტგოფენი ინახულა.

გოძიადანი, 11 სექტემბერი. ხელშეკრულობის რატიფიკაციის მოლოდინში, ჩინელების ცნობებით, სინმინტინს, მუკდენს და სხვა ქალაქებში იაპონელთა ჯარები მოვიდნენ.

პეტერბურგი, 12 სექტემბერი, „ნოვოე ვრემია" იუწყება, რომ ქალების ინსტიტუტებისთვისა და იმპერატრიცა მარიამის უწყების გიმნაზიებისათვისაც ისეთი პროგრამა შეიმუშავეს, რანაირიც სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლებლებისთვის არსებობსო.

პეტერბურგი, 12 სექტემბერი. განსაკუთრებულ რჩევის სხდომები გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით მინისტრთა მოქმედების გაერთიანების შესახებ კვირაში ორჯელ გამართება ხოლმე, იმ ანგარიშით, რომ ეს საკითხი მიმდინარე წლის ოქტომბრისთვის უკვე განხილული იქმნას.—დღეს პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა ფარმაცევტთა წარმომადგენლები მიაწვია და დიდხანს ებაასა. შედეგად ამ ლაპარაკს ის მოჰყვა, რომ ყველა დატუსაღებული ფარმაცევტები განთავისუფლეს. საღამოთი, გრადონაჩალნიკის ნება-

ფელეტონი

საგლეხო რეფორმების ისტორიიდან რუსეთში.

საგლეხო რეფორმები რუსეთში ამ უკანასკნელ ათი-თუთხმეტი წლის განმავლობაში ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ რამდენად უსარგებლოა მმართველ წრეების „მზრუნველობა" იქ, სადაც მთავრობა მოშორებულია ხალხის ცხოვრებას და თავის მოქმედებაში არ ცდილობს მოიქცეს ისე, როგორც სურს ხალხის უმეტესობას. სამოციან წლების შემდეგ, როდესაც აღმოჩნდა, რომ ბატონ-ყმობის მოსპობამ ვერ მოსპო სოფლელების გაღატაკება, როდესაც მიწის საკუთრებას მოკლებული გლეხი სიმშილობას ასცდა, მთავრობამ თავისებურად დაიწყო მზრუნველობის გაწევა, თავისი მოხელეები გააბატონა სოფლებში და ამ მოხელეების სურვილს დაუმორჩილა გლეხობა. გლეხი, როგორც მცირეწლოვანი ბავშვი, დაბადებიდან დაწყებულ სიკვდილის წამამდის, ადმინისტრაციის ზედამხედველობის და მზრუნველობის ქვეშ რჩებოდა. სწავლა-განათლების საქმე, მიწის მფლობელობის წესები, სოფლის თვითმართველობა ადმინისტრაციას დაუქვემდებარეს, თვით სოფლიდან სოფლად გადასვლა არ შეიძლებოდა ადმინისტრაციის ნება-დაურთველად, პასპორტის აუღებლად.

ადმინისტრაცია, ამ საერთო მზრუნველობის დროს, ხშირად ისეთ მიზნებსაც ემსახურებოდა, რომელთაც სოფლის კეთილდღეობასთან საერთო არა ჰქონდათ რა. მშვიდობიანობა, სიწყნარე და მორჩილება ამ მზრუნველობის იდეალად იყო გამოსახული; უმოქმედობა, სამოქალაქო გრძნობების მოჩლუნგება, არსებულ რეჟიმის უკმაყოფილება და განთავისუფლების სურვილი შეიქმნა ამავე მზრუნველობის შედეგი. ადმინისტრაციის მორჩილი ხალხი თავის ნებით ვეღარ ახერხებდა რიგიანად მოეწყო თავისი ცხოვრება,—საამისოდ ინიციატივა აკლდა მას,—ადმინისტრაციამაც ამ საქმეში მას ვერ გაუწია ხელმძღვანელობა,—საამისოდ მას აკლდა საქმის ცოდნა და ხშირად სურვილიც.

ხალხი ეკონომიურად დაეცა... მისი ეკონომიური სისუსტე განსაკუთრებითის სიცხადით გამოჩნდა 1891—3 წწ. სიმშილობის შემდეგ, როდესაც რუსეთის ოცი გუბერნია თითქმის ულუკმა პუროდ დარჩა და ხალხის საკვებად საჭირო შეიქმნა მთავრობის დახმარება და საზოგადოების კერძო შემოწირულება და საქმეში ჩარევა. შიდა-გუბერნიებში უჭმელობისა გამო ხალხი დასუსტდა და მას მუსრს ავლებდა სხვადასხვა ავადმყოფობა.

საზოგადოების საქმეში ჩარევამ ყველას თვალი აუხილა და დაანახა, რომ სოფლად გლეხების მდგომარეობა საზღვარ გარეთის პროლეტართა მდგომარეობაზე ბევრად უარესია.

ამ გარემოებამ ჩააფიქრა ყველანი. წინად გლეხობა რუსეთის ეკონომიურ კეთილდღეობის მკვიდრ საფუძველი ეგონათ, ფიქრობდნენ, რომ ამ საფუძველს შეუძლიან ყოველგვარ საფინანსო შეცდომების ატანა, რომ იგი სიმდიდრის დაუშრეტელი წყაროა: და ახლა ეს საფუძველი, ეს სიმდიდრის წყარო, მშიერ-მწყურვალე, ულუკმაპურო და უმწეო, თვითონ დახმარებას ითხოვდა.., ზევით საზოგადოების მოწინავე ნაწილი სოციალ-ეკონომიურ საკითხების გარკვევას შეუდგა, ქვევით კი, თვით ხალხში, მწიფდებოდა ახალი საზოგადოებრივი ძალები, მზადდებოდა ის მოძრაობა, რომელმაც მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ იჩინა თავი და რომელიც ახლა მთელ რუსეთს მოედო.

მთავრობა ხედავდა, რომ ცხოვრების პირობები სოფლად უთუოდ უნდა შეცვლილიყო, მაგრამ მის მოქმედებას მაინც არავითარი ცვლილება არ ეტყობოდა. 1894 წ. გამოიცვალა ხელმწიფე, სამინისტროების მეთაურები კი ძველები დარჩნენ და ამიტომ საკვირველი არ არის, რომ „მზრუნველობის" პოლიტიკა არ მოსპობილა. მაგრამ ახლა ამ პოლიტიკამ ხალხში მეტი წინააღმდეგობა გამოიწვია. ის, რასაც მაძღარი იტანდა, ნახევრად დამშეულ და გაღატაკებულ გლეხობისათვის ახლა აუტანელი შეიქმნა. წინააღმდეგობის ჩასაქრობად მთავრობამ არ ისურვა შეეცვალა თავის მოქმედების მიმართულება და ისევ რეპრესიებს მიმართა. ცხოვრების გასაუმჯობესებლად მიმართული ხალხის მისწრაფება მთავრობამ თავის „საწინააღმდეგოდ" დასახა და მის მოსასპობად კიდევ უფრო გააბატონა ადმინისტრაცია, ერობის და საგლეხო თვითმართველობას მოუსპო თავისუფლება. ამ სისტემის მთავარი წარმომადგენელი პლევეა, რომლის სახელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთში გაბატონებულ რეაქციასთან.

რა ზომებით ცდილობდა საგლეხო საკითხის გადაწყვეტას მთავრობა, რომელიც ხალხს ამ საკითხის გადაწყვეტაში უსპობდა ყოველსავე თავისუფლებას?—შიდა გუბერნიებიდან ციმბირსა და კავკასიაში ხალხის გადასახლებით და ადგილობრივ კი ზედ მეტ მზრუნველობით და რეპრესიებით.

1893 წ. განსაკუთრებული კომისია დაარსდა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ხალხის ახალ ადგილებში დასახლების მეთაურობა, ეს კომისია ხელს უწყობდა შიდა გუბერნიებიდან რუსების გადასახლებას ციმბირსა და კავკასიაში და ამ კომისიაში თავმჯდომარეობდა თვითონვე ხელმწიფე. როდესაც ციმბირის რკინის გზა აშენდა, გადასახლება ციმბირისკენ უფრო გაძლიერდა და კავკასიისკენ შესუსტდა,—ათი წლის განმავლობაში ერთ მილიონზე მეტი რუსი გადვიდა საცხოვრებლად შიდა რუსეთიდან ციმბირში. ამათთვის თავისუფალ ადგილების მოსაპოვებლად მთავრობა ხელს უჭერდა მკვიდრთა, ცდილობდა ჩამოერთმია მათთვის ადგილ-მამული და უმეტეს ნაწილად ახერხებდა ამას ტურგაის და აკმოლინის ოლქებში, თურქესტანის საგენერალ-გუბერნატოროში მკვიდრთა უმეტესობა უმიწა-წყლოდ რჩებოდა და ამიტომ იქ თანდათან იზრდებოდა უკმაყოფილება არსებულ რეჟიმით, უკმაყოფილება, რომელიც ჩვენ დროში „განაპირა ქვეყნების" საკითხად გადაქცეულა.

გადასახლების პოლიტიკამ ვერ მოსპო საადგილ-მამულო საკითხის სიმწვავე რუსეთში, ეს საშუალება მხოლოდ დროებით ზომად ვარგოდა, ხანგძლივად მას არ შეეძლო შიდა გუბერნიების ეკონომიური გაღონიერება.

ამას ხედავდა თვით მთავრობა და 1893 წ. გადასწყვიტა რეფორმების შემოღება რუსეთში. მაგრამ გადაწყვიტა საიდუმლოდ. სახელმწიფო საბჭო სწერდა. „გლეხობამ თუ შეიტყო, რომ მათ სასარგებლოდ რეფორმები მზადდება, ხალხში არეულობა დაიწყება, ხალხმა შეიძლება ისეთი რამეები ისუროვს, რისი შემოღებაც განზრახული არ იქმნებაო." ეს რეფორმები გამოიხატა შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარში, რომელიც მან, 1894 წ. 7 ივნის, დაუგზავნა გუბერნატორებს და რომლითაც ეკითხებოდა გლეხობის შესახებ საჭირო ცნობებს.

ამაოდ ლაპარაკობდნენ სახელმწიფო კანტროლის წარმომადგენლები 1896 წ. რომ გლეხობას არ შეუძლია ნამეტან გადასახადების ატანა, ამაოდ ითხოვდა ამ ტვირთის შემსუბუქებას საზოგადოება.—შინაგან საქმეთა და ფინანსების სამინისტროები ამის პასუხად ისევ ახალ კომისიებს იწვევდნენ.

მინისტრთა კომიტეტში ვიტტე აცხადებდა: შიდა გუბერნიების გაღატაკება გამოწვეული არის იმით, რომ განაპირა ადგილების შესაბამად შიდა გუბერნიების ფული იხარჯებაო. პობედონოსცევის აზრით არ იყო საზოგადოდ საჭირო სოფლის ეკონომიურ დაქვეითების ნამდვილი მიზეზები გამოეძებნა ადამიენს, ვინაიდგან ამას შეეძლო „არა სასურველი" ხმები გაევრცელებინა ხალხში. პლევე კი გარკვევით ამბობდა, რომ არავითარი ძირითადი რეფორმა არ არის საჭირო, რომ საკმარისია მხოლოდ გაძლიერდეს გლეხობის განცალკევება დანარჩენ ხალხისგან, რომ საჭიროა განსაკუთრებული საგლეხო, წოდებრივი კანონმდებლობა. მხოლოდ ერთი წევრი, ოსტროვსკი ამხილებდა მთავრობას და ეუბნებოდა, სჯობია ახლავე გულახდილად აღიაროთ თქვენი შეცდომები და ხალხს ძირითადი რეფორმები მიანიჭოთო, თორემ საქმის გადაფურჩება უფრო გაამწვავებს საქმის მდგომარეობას და მაშინ ზევიდან რეფორმების შემოღება გვიანღა შეიქმნებაო. კომიტეტის უმეტესობა მის აზრს არ დაეთანხმა და ისევე ძველი გზით სიარული არჩია.

1902 წ., შინაგან საქმეთა მინისტრის სიპიაგინის წინადადებით, ცალკე კომისია დაარსდა, რომელსაც უნდა შეემუშავებინა საგლეხო კანონმდებლობა იმ სახით, რა სახითაც ამას ურჩევდა მთავრობას პლევე.

ვიტტე და ფინანსების სამინისტრო ამავე დროს თავისთვის იკვლევდა საქმეს, 1892 წ. კოვალევსკის თავმჯდომარეობით კიდევ განსაკუთრებული კომისია დაარსა შიდა გუბერნიებში ხალხის გაღარიბების გამოსაკვლევად. ამ კომისიამაც გაიმეორა ვიტტეს აზრი, რომ განაპირა ადგილების მიზეზით ღარიბდება შიდა რუსეთი. ამავე კომისიამ საჭირო ცნობები შეკრიბა იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთის საზოგადო საფინანსო ღ ეკონომიური პოლიტიკა ძირს უთხრის გლეხობის კეთილდღეობას. მაგრამ ამ კომისიის შრომას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია.

1902 წ., ვიტტემ სამაგიეროდ კიდევ ახალი კომისია მოიწვია, რომელსაც „სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა გამომრკვევ კომისიის სახელი დაერქვა". ამ კომისიაში მონაწილეობა თვით საზოგადოებამაც მიიღო და ბევრგან გუბერნატორების წინააღმდეგობის მიუხედავად გულახდილად გამოსთქვა თავისი აზრი სოფლის გაღარიბების ნამდვილ მიზეზების შესახებ და დაასახელა ნამდვილი ზომები საჭირო საქმის გასაუმჯობესებლად. მაგრამ აქაც მათი აზრი დარჩა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა",—ფინანსთა მინისტრი და ამ კომისიების თავჯდომარე ვიტტე მისთვის არა სასურველ აზრებს ყურადღებასაც არ აქცევდა და ხალხის წარმომადგენელთა აზრად აცხადებდა იმას, რაც მის საფინანსო პოლიტიკას ამართლებდა და აქებდა.

ზოგიერთაგან ხალხი საფინანსო პოლიტიკას ძირითად რეფორმას ითხოვდა, ზოგიერთი ამბობდა, რომ საჭიროა არა პირდაპირ გადასახადების მოსპობა, ზოგან ხალხი საჭიროდ სცნობდა მთავრობის უსარგებლო ხარჯების შემცირებას და მოსპობას, აცხადებდა, რომ ხალხმა თვალ-ყური უნდა ადევნოს იმას, თუ როგორ ხარჯავს მთავრობა ხალხის ფულს, რომ ხალხი, როგორც სახელმწიფოს პატრონი უნდა განაგებდეს შემოსავალ გასავლის საქმესაც... ახალი ჰანგები მოისმოდა აქა-იქ, მაგრამ მთავრობა ამ ჰანგებს ყურადღებასაც არ აქცევდა და, როდესაც ზოგიერთები კერძო პირთაგან ადგილ მამულის ჩამორთმევას ურჩევდნენ და მშრომელ ხალხისთვის მიცემას,—მთავრობა ამას მავნე მიმართულებად ჰსახავდა,—და უყურადღებოდ სტოვებდა. ყველა ის საკითხი, რომელიც უფრო აწუხებდა ხალხს, რომლის გადაწყვეტა უფრო საშიშო იყო, რჩებოდა გადაუწყვეტელი. ხალხი კი მათ გადაწყვეტას ელოდა და ამ მოლოდინში მზადდებოდა ნიადაგი მომავალ მოძრაობისთვის. ერობათა წარმომადგენლებმა, 1905 წ. თებერვალში, გამოსთქვეს თავისი აზრი იმის შესახებ, თუ რა გზით და როგორ უნდა გადასწყდეს საადგილმამულო საკითხი რუსეთში: 1) საჭირო არის წვრილ მესაკუთრეთა სასარგებლოდ საჭირო ადგილები სავალდებულოდ იქმნეს ჩამოჭრილ მსხვილ მემამულეთაგან. 2) ხაზინამ კერძო პირთა ადგილები უნდა შეიძინოს და საზოგადოდ მთელი სახაზინო ადგილები უნდა მიეცეს მიწის შემმუშავებელს სასარგებლოდ. 3) საიჯარო დამოკიდებულებაში მთავრობის გარევა. 4) მთავრობისაგან საშუამდგომლო კომისიების დაარსება საადგილმამულო საქმეებისთვის. 5) კრედიტით სარგებლობის გაადვილება, საგლეხო ბანკის რეფორმა, კოოპერაციების ხელის შეწყობა. 6) მიწის გამიჯვნის გაუმჯობესება და დაჩქარება.

ეს მცირედი პროგრამაც მთავრობის თვალში ნამეტანი გამოდგა. 1905 წ. 30 მარტს გორემი-

რთვით, ტენიბევსკის სასწავლებლის დარბაზში, ფარმაცევტთა კრება მოხდა. კრებას 418 კაცი დაესწრო. აფთიაქარების წინადადება, რომ აფთიაქარებსა და ფარმაცევტთა შორის უთანხმოების გამოსარკვევად კომისია იქმნას არჩეული, 386 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 32, არ მიიღეს, ამრიგად, კომფლიქტი არ მოსპობილა.

განჯა, 12 სექტემბერი. გუშინ განჯაში მოვიდა ნამესტნიკი მეუღლითურთ. ნამესტნიკს თან ახლდა გენერალი შირინკინი. ნამესტნიკმა ჯერ მართლ-მადიდებელთა ეკლესიაში ილოცა და მერე სომხების ეკლესია და მეჩეთი ინახულა. არქიმანდრიტმა კორიუნმა, საეკლესიო ქონების დაბრუნებისთვის, სომხის ერის სახელით მადლობა გადაუხადა და მერე სთხოვა, განჯაში საკმარისი ჯარი გამოგზავნეთო: მეჩეთში ახუნდი მიესალმა გრაფს და სთხოვა, მუსულმანთა კულტურულ განვითარებისთვის ზომები მიიღეთო. გრაფმა განაცხადა, რომ წესიერების დამრღვევთა ასალაგმად საკმარისი ჯარი გამოიგზავნებაო. ამის შემდეგ ნამესტნიკმა ჯარი დაათვალიერა და ტფილისისკენ გაემგზავრა.

ლოძი, 12 სექტემბერი. ხოლერით ავადმყოფი კიდევ აღმოაჩინეს. ლომჟის გუბერნიაში 11 სექტემბრიდან ხოლერით სულ 21 კაცი გამხდარა ავად; ამათგან თერთმეტი ავადმყოფი უკვე გარდაცვლილა. თვით ლომჟაში ავად გამხდარა ექვსი კაცი, გარდაცვლილა—ხუთი. მაზოვეცკის მაზრაში ავად გამხდარა რვა კაცი, გარდაცვლილა—ოთხი; ლომჟას მაზრაში ავად გამხდარა ოთხი, გარდაცვლილა სამი; ოსტროლენსკის მაზრაში ავად გამხდარა ოთხი, გარდაცვლილა სამი. იმპერიაში ხოლერით სულ 27 კაცი გამხდარა ავად; ამათგან 17 ავადმყოფი გარდაცვლილა.

ბერლინი, 12 სექტემბერი. ვიტტე ჯერ ბიულოვმა მიიღო, შემდეგ კი ორივემ გარეშე საქმეთა მინისტრთან ისაუზმეს.

ბერლინი, 12 სექტემბერი. ბერლინში ხოლერით ავად ადარავინ გამხდარა.

ბერნი, 12 სექტემბერი. საკავშირო რჩევამ გადასწყვიტა, პეტერბურგისა და იოკოჰამის საკონსულოები საელჩოებად გადააქციონ.

ყაზანი, 12 სექტემბერი. საბეითალო ინსტიტუტის დირექტორად პროფესორი გალცმანი ამოირჩიეს.

არხანგელსკი, 12 სექტემბერი. ყინულის მჭრელი გემი „ერმაკი“ ალექსანდროვსკიდან ინგლისში წავიდა.

პეტერბურგი, 12 სექტემბერი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა გუბერნატორებს, განკარგულება მოახდინონ, რომ ერობებმა სახელმწიფო სათათბიროში ამომრჩეველთა სიების შედგენა დააწყონ. ეს განკარგულება იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ ზოგიერთ ერობას ამ საგნის შესახებ მუშაობა ჯერაც არ დაუწყია.

ბერლინი, 12 სექტემბერი. გუშინ ხალხი ვიტტეს „ურა“-ს ძახილით დახვდა. დღეს სადამოთი ვიტტე, იმპერატორ ვილჰელმის სანახავად, რომინტენის ციხე დარბაზში წავა.

ვენა, 12 სექტემბერი. სავაჭრო კონფერენციამ დაამთავრა განხილვა იმ ახალ მოთხოვნილებებისა, რომლებიც შვეიცარიამ წარუდგინა. ახალ სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ ავსტრიასა და უნგრეთს შორის სრული თანხმობაა.

სამარა, 12 სექტემბერი. საქალაქო არჩევნებში გუშინ გაიმარჯვა საბირჟო პარტიამ, რომელმაც 36 წევრი გაიყვანა. ინტელიგენციის გადაჭარბების გამო, საბჭოს ფიზიონომია შესამჩნევად შეიცვალა.

შულავერი, 12 სექტემბერი. ბორჩალოს სამაზრო რჩევის სხდომაზე ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღების გამო, ზოგიერთის ცვლილებით მიღებულ იქმნა ციმბირის საერობო დაწესებულებათა პროექტი.

ვარშავა, 12 სექტემბერი. სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორად ნოვოალექსანდრიაში პროფესორი სკვარცოვი ამოირჩიეს.—10-ს სექტემბერს ვარშავის უნივერსიტეტის საბჭოს კრება მოხდა. ლაპარაკი ჰქონდათ სწავლის განახლების შესახებ. საბჭო ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დაადგა. სხდომა ხვალისთვის გადადო.

პეტერბურგი, 12 სექტემბერი. გადაწყვეტილია, პორტ-არტურის სასწავლებლები: რეალური სასწავლებელი და ქალების გიმნაზია ჩიტაში და ნიკოლსკ-უსურიისკში გადაიტანონ.

ბაქო, 12 სექტემბერი. პეტერბურგის რჩევაში რწმუნებულებად ტაგიანოსოვი, პაშო, ლიანოზოვი და იარიყანოვსკი ამოირჩიეს.

ქუთაისი, 12 სექტემბერი. სამხედრო უწყებამ ქალაქს რვა ათასი ჯარის-კაცისთვის სადგომი მოსთხოვა. გამგეობა ძალიან ცუდს მდგომარეობაშია ჩავარდნილი.

მოსკოვი, 12 სექტემბერი. გამგეობამ პეტერბურგიდან მიიღო ცნობები, რომ სახელმწიფო სათათბიროში წარმომადგენლების არჩევა 21 ნოემბერს დაიწყებაო.

პეტერბურგი, 12 სექტემბერი. განსაკუთრებულმა რჩევამ გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით მოისმინა ბულიგინის განცხადება, რომელიც უცენზურო გამოცემებს შეეხება და რომლის ძალითაც საცენზურო წესდების მე-140 მუხლი სახელმწიფო სათათბიროს ცნობებს არ უნდა ეხებოდეს. საცენზურო წესდების მე-140-ე მუხლი შინაგან საქმეთა მინისტრს ნებას აძლევს, ამა თუ იმ ცნობების გამოქვეყნება აკრძალოს.

კინის სახელზე გამოცემულ ბრძანებაში სწერია, „მიწის კერძო საკუთრება ხელ-უხლებელი უნდა დარჩესო“ და ამ მიზნის საჭირო რეფორმების გამოსარკვევად მის თავმჯდომარეობით კიდევ ახალი კომისია დაარსდა.

სვიატოპოლკ-მირსკის მინისტრობის დროს, მთავრობამ ერთ ხანს სცადა გამოცხადება, რომ საგლეხო და საადგილ-მამულო საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა ძირითადი რეფორმა და უმთავრესად კი გლეხების გათანასწორება დანარჩენ ხალხთან, თვითმართველობის და საეროობო ინიციატივის გაძლიერება, მთავრობისაგან ნაკლები „მზრუნველობა“ და ხალხის მეტი თავისუფლება, მაგრამ ამ გამოცხადებამაც უნაყოფოდ ჩაიარა და ხალხი ისევე ძველ მდგომარეობაში ჩავარდა.

ამ დროს იაპონიასთან ომიანობამ მოუსწრო,—გამომჟღავნდა ბიუროკრატიის სრული არარაობა და სისუსტე, ყველამ დაინახა აშკარად, რომ ამ ბიუროკრატიის, იმ წრეებს, რომელთაც შესაძლოდ გახადეს ეს საშინელი ომი და დამარცხება, არაფრის გაკეთება არ შეუძლიან, რომ სხვისი მზრუნველობა არ შეუძლიან იმათ, ვისაც თვითონ მზრუნველობა და თვალყურის დევნება სჭირიათ. მათმა სისუსტემ ხალხი უფრო გაბედულად აალაპარაკა,—ამ გაბედულობას უმატებდა კიდევ ზედმეტი გაჭირვება, რომელიც გამოიწვია ხალხის ჯარში გაყვანამ, ომის ხარჯებმა და ფინანსების საერთო მოუწყობლობამ. იმ ხმას, რომელიც პირველად ქალაქ ადგილებში დაიწყო, სოფელმაც ბანი მისცა, სოფელმა თვითონ წამოაყენა საადგილმამულო რეფორმების აუცილებლობა, ამ რეფორმების საქმე ახალ გზას დაადგა, რეფორმა ქვევიდან იწყებოდა...

როგორ გადაწყდება ამ გზით საადგილ-მამულო საკითხი, რა სახეს მიიღებს ის მოძრაობა, რომელსაც მიზნად დასახული აქვს ხალხის უმეტესობის გაბედნიერება და იმ დაუსრულებელ მზრუნველობის მოსპობა, რომელიც ყოველგვარ სასიცოცხლო ძალას უსპობდა სოფელს და მოქმედებით ალსავსე ცხოვრების მაგიერად ამყარებდა მხოლოდ მორჩილებას, მორჩილებას და მორჩილებას?! ამის პასუხი ჯერ არ მოუცია ჩვენთვის ცხოვრებას, მაგრამ ყველას, ვინც დაჰკვირებია ცხოვრების განვითარებას, ადრევე მიხვდება რომ რეფორმა ქვევიდან ხალხისთვის უნაყოფოდ არ ჩაივლის და ხელს შეუწყობს განთავისუფლებულ ხალხის ბედნიერებას. **კ. ხ.**

რეფორმები რუსეთში

ციმბირის წარმომადგენელნი სახელმწიფო სათათბიროს პირველ კრებასვე დაესწრობიან, არჩევნები ციმბირშიაც და შუა რუსეთშიაც ერთ და იმავე დღეს მოხდება (ნ. ქ.)

◆ **ტომსკის გუბერნია** ხუთ წარმომადგენელს გაგზავნის სახელმწიფო სათათბიროში (ნ. ქ.)

◆ 6 სექტემბერს მარინის სასახლეში **კრება ჰქონდათ** შემდეგ **მინისტრებს:** შინაგან საქმეთა ბულიგინს, ფინანსთა—კოკოვცევს, საერო განათლებისა გლაზოვსა და შინად მიწათ მოქმედებისა და მიწათ-მოწყობის მთავარ სამმართველოს უფროსს შვანებაბს. მინისტრებმა ერთხმად დაადგინეს დანარჩენ უმაღლეს სასწავლებელსაც—საქალებო და სავაჟოსაც ისეთივე ავტონომია მიენიჭოთ, როგორიც უნივერსიტეტებს მიეცათ. გარდა ამისა კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ 15 სექტემბერს უეჭველად დაიწყოს სწავლა ყველა სასწავლებლებში. სამინისტრო შეადგენს განსაკუთრებულ კომისიას, რომ ახალ უნივერსიტეტის წესდების კანონპროექტს შეადგენს და სახელმწიფო სათათბიროს გადასცემს დასამტკიცებლად.

◆ ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის თავმჯდომარეობით შედგენილი კომისია, რომელმაც მუშათა საკითხი უნდა გამოარკვიოს, ნოემბრის დამდეგ განაახლებს თავის სხდომებს. კომისია პირველ კრებაზე **განიხილავს გაფიცვებისა და მუშათა კავშირების ორგანიზაციის კანონპროექტს.** ამავე დროს გაანახლებს კრებებს ფინანსთა მინისტრის თანაშემწის ტიმირიაზევის კომისიაც, მაგრამ რადგან ორივე კომისის კრებებს მრეწველთა წარმომადგენელნიც უნდა დაესწრნენ, ამიტომ მოსალოდნელია, რომ მუშაობა მეტად გაჭიანურდება: ერთი და იგივე წარმომადგენელნი ერთ და იმავე დროს ორი კომისიის სხდომებს ვერ დაესწრობიან (ს. ო.

◆ საერო განათლების სამინისტრომ გადასწყვიტა **მოსპოს** სასწავლებელში ნიშნების დასმა. ნიშნებს დასვამენ მხოლოდ სამოსწავლო წლისა და მეოთხედის დამლევს (ს. ო.).

ახალი ამბავი

კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში ხვალ გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი ცნობილ ქართველ ქველ-მოქმედის **სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად,** რის შემდეგაც მის საფლავზე (სოლოლაკის კათოლიკეთა სასაფლაოზე) აკურთხებენ განსვენებულის **ძეგლს.** საზოგადოება კარგად იცნობს განსვენებულის საქველმოქმედო მოღვაწეობას და ამიტომ, უეჭველია, ხვალ ღირსეულად სცემს პატივს მის სახელსა და ხსოვნას.

◆ ტფილისში ჩამოვიდა პარიზის **ცნობილი** გაზეთ **„ჟურნალ“-ის კორესპონდენტი ბ. ბერტრანი,** რომელსაც აზრადა აქვს კავკასიის დღევანდელი ამბები შეისწავლოს და გამოარკვიოს. ამ მოკლე ხანში ჩამოვა ფრანგულ გაზეთის „რეპუბლიკ ფრანსეზ“-ის თანამშრომელი ე. ფასი.

◆ ბერლინის გაზეთები ყოველ დღე **დიდ ალაგს უთმობენ კავკასიის ამბებს.** ზოგიერთმა გაზეთმა ცალკე განყოფილება დაარსა და სათაურად დააწერა: „სამოქალაქო ომი კავკასიაში“ (ბირჟ. ვედ.).

◆ კავკასიაში მოძრაობის გამო, როგორც მკითხველებმა იციან, **კავკასიის ნამესტნიკმა რუსეთის შიდა-გუბერნიებიდან ჯარები გამოიწვია.** კიევიდან მოდის მთელი მე-33 დივიზია, ამ დივიზიის ორი პოლკი, მე-130 (ტირასპოლსკი) და მე-131 (ხერსონსკი) ბაქოში ჩავა, ხოლო მე-124 (ვესსარაბსკი) და მე-132 (ბენდერსკი) ქუთაისს. („ტფ. ლისტ.“).

◆ გუშინწინ, 12 სექტემბერს, კახეთის გზაზე, სადგურებ უჯარმასა და გომბორს შუა, ტფილისიდან მიმავალ **ოთხ ომნიბუსს თავს დაეცნენ** შეიარაღებული უცნობი კაცები და ასტეხეს თოფის სროლა. ჯერ წინა ომნიბუსის მგზავრები გაქურდეს. წაართვეს ერთ ებრაელს ფულად—90 მანეთი, ოქროს საათი, ბეჭედი და სხვა, მეორე მგზავრს ტერ-აკოფიანცს წაართვეს გატენილი თოფი მაუზერის სისტემისა, მოხსნეს ოქროს ქამარი და საათი, მესამე მგზავრმა კი ყაჩაღების შეუნიშნავად მოჰკურცხლა და უკანა ომნიბუსის მგზავრებს აცნობა ეს ამბავი. ამ ომნიბუსის ერთმა მგზავრთაგანმა თ-დ რევაზ ყარალაშვილმა მოიმარჯვა თოფი და, როცა დაუახლოვდა ყაჩაღებს, ესროლა და ერთი ყაჩაღი მოჰკლა. ყაჩაღებმაც უპასუხეს და ორი ცხენი მოუკლეს. შემდეგ ამისა მოხსნეს თავიანთ მოკლულ ამხანაგს თოფ-იარაღი და თავს უშველეს.

◆ გუშინ, 13 სექტემბერს, დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე ტფილისიდან **საზღვარგარედ გაემგზავრა.**

◆ ტფილისში დაბრუნდა მიწად-მოქმედების გამგეობის უფროსი გ. ი. ზელენინი, რომელიც ბორჩალოს მაზრაში იყო გამგზავრებული, იმ სახელმწიფო მიწების დასათვალიერებლად, რომელიც ნადელებად **გლეხებს უნდა დაურიგდეთ.**

◆ გუშინ, 13 სექტემბერს, ტფილისიდან **პეტერბურგს გაემგზავრა გენერალი ჟუნკოვსკი,** რომელიც კავკასიის ნამესტნიკმა დანიშნა ნავთის მწარმოებელთა კრებაზე დასასწრებლად. ამავე კრებაზე დასასწრებლად ფინანსთა სამინისტროსაგან დაინიშნენ ქ. ბაქოდან ვიცე-დირექტორი სამთო დეპარტამენტისა ივანოვი და გადასახადთა რევიზორი ნარდოვი. კრება ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის თავმჯდომარეობით უნდა მოხდეს.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა მოსკოვის საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარეს **გოლოვინს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:** „ტფ. ქალაქის სამმართველო გთხოვთ, თუ შესაძლებელი იქმნება, აღძრათ საკითხი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სათათბიროში ტფილისმა ორი წარმომადგენელი მაინც იყოლიოს, რადგან ტფილისში სხვადასხვა ერი სცხოვრობს, რომელთაც სხვადასხვა ინტერესები აქვთ“.

◆ ორშაბათს, 12 სექტემბერს, თათრის მოედანზე **თავი სასიკვდილოდ დაიჭრა რეალურ სასწავლებლის მე-6 კლასის მოწაფემ გამზა შაბანოვმა,** რადგანაც შემდეგ კლასში არ გადაუყვანიათ.

◆ ქუთაისის **ოლქის სასამართლოს წევრი პიპინოვი** დაინიშნა ტფილისის სასამართლო პალატის წევრად.

◆ პრესის საქმეების შესახებ კობეკოს თავმჯდომარეობით შედგარი საგანგებო კომისია თავის მოქმედებას **დაიწყებს პეტერბურგში 13 სექტემბრიდან.** ამ კომისიაზე დასასწრებლად პეტერბურგს გაემგზავრა კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე მ. პ. გაკკელი.

◆ ტფ. დრ. გენერალ-გუბერნატორმა გენერალმა იაცკევიჩმა ნება დართო ტფილისის მოქალაქეთა საზოგადოებას—**კრება მოიწვიოს და მამასახლისის არჩევნები მოახდინოს.**

◆ სამრევლო სკოლების საოლქო საბჭომ **ყველა თავის წევრებს გასაცნობად დაუგზავნა** დადგენილებანი სამრევლო სკოლების მაზრის მეთვალყურეთა და პირველ-დაწყებით მასწავლებელთა.

◆ საგუბერნიო საერობო კრება, რომელიც ამ თვის 15 ტფილისში უნდა შემდგარიყო, ჯერ-ჯერობით გადაიდო.

◆ როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, **იქ უკვე შეუდგენიათ ქართული დრამატიული დასი.** წრეულს წარმოდგენებს განაგებს განსაკუთრებული კომისია. რეჟისორად მიწვეულია ვლ. ალექსი-მესხიშვილი. დასში არიან: ქქ. ნ. დავითაშვილი, ბ. რონელი, ნ. გამყრელიძისა, ნ. ჯავახიშვილი, გ. ურანელი, ე. ლალიაშვილი, ე. ჩიქოვანი; ბბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. გამყრელიძე, დ. მესხი, ე. შალიკაშვილი, ნ. გვარაძე, დ. ბაქრაძე, ი. ზარდალიშვილი, ვ. ამაშუკელი, ვ. აბულაძე, გრ. ჩარკვიანი, ა. მურუსიძე და სხვანი. რეპერტუარში ბევრი ახალი პიესებია, როგორც ორიგინალური ისე ნათარგმნიც.

◆ „ინვალიდ“-ის უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ახალი სია **ომში მოკლულ და დაჭრილ სალდათებისა** ტფილისის გუბერნიიდან. ამ სიაში არიან ქართველები, სომხები და რუსები. მოგვყავს აქვე ქართველების გვარები. მოკლულ იქმნა: მაკეშვილი მიხეილ (მარიამ-ჯვრიდან, ბორჩ. მაზრა) და ალექსი დევნოშვილი (რატევნიდან, ბორჩ. მაზრა); დაიჭრნენ: ციხკარიშვილი ქრისტესია, ხოხიაშვილი ლონგინოზ, ცხვარიაშვილი დავით, შოშიაშვილი შიო, კევლიშვილი დიმიტრი, საგინაშვილი ივანე, მერაბაშვილი ა., ნისიკაშვილი სოლომონ, პეზუაშვილი ვასილ, ილაური ნიკოლოზ, როსტომაშვილი ივანე, მამისაშვილი ისიდორე და ლასაკარაშვილი ალექსი. დაჭრილები ტფილისის, სიღნაღის და ბორჩალოს მაზრებიდან არიან.

◆ მოწაფეთა მშობლებმა შუამდგომლობა აღძრეს ავლაბრის პროგიმნაზიის ინსპექტორის წინაშე, რომ ამ წლიდანვე **დაარსდეს მესამე კლასიც.**

◆ პირველ **საკვირაო სკოლის კურთხევა დანიშნულია 25 სექტემბრისათვის.**

◆ საქართველოს ექსარხოსმა სამრევლო სკოლების საოლქო საბჭოს თავმჯდომარეს **ეპისკოპოს ექვთიმეს** გაუგზავნა ჟურნალი სამრევლო სკოლების მაზრის მეთვალყურეთა კრებისა და სთხოვა, რომ, ამ ჟურნალის განხილვის დროს, ყურადღება საოლქო საბჭომ უმთავრესად მიაქციოს წერა-კითხვის სკოლების სარგებლობას, რუსულ ენის საქმის დაყენებას და საზოგადოდ იმ გარემოებას, რომ სასწავლო საქმის დაყენება ამ სკოლებში შეფარდებული იყოს იმ ზომებთან, რომლის მიღებასაც აპირობს კავკასიის სამოსწავლო უწყება ადგილობრივ სკოლებში.

◆ დიდუბის ეკლესიასთან, სავაჭრო საბჭოს დადგენილებით არსდება მეორე სკოლა, ქალებისათვის.

◆ რადგანაც ქალაქის მოურავი სამსახურიდან გადადგა, ამჟამად ირჩევა საკითხი, თუ როგორ აწარმოვონ იმ ფულის ანგარიში, რომელიც ბაქოსა და სხვა ადგილას დაზარალებულთათვის იყო შეგროვილი და რომელსაც მოურავი თავის განკარგულებით ანაწილებდა.

◆ სინოდალურ კანტორის ხაზინადარის გაფლანგული ფული, როგორც ამ საქმეზე დანიშნულმა კომისიამ აღმოაჩინა, უდრის 207 ათას მანათს. აქედან 87 ათასი მანათი სვეტიცხოვლის განმაახლებელ კომიტეტისაა.

◆ 11 აგვისტოს რიყის ქუჩაზე ელექტრონის ვაგონ ქვეშ მოჰყვა 10 წლის უმაწვილი იოსებ ნამასაშვილი და სასიკვდილოდ დაშავდა.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრმა აცნობა გუბერნატორს, რომ სამინისტრომ ნება დართო სპარსეთის ქვეშევრდომ სომეხ-კათოლიკეთა მღვდელს იოსებ ხუდავერდის სამშობლოში დაბრუნებისა.

◆ ქართლ-კახეთის სინოდალურმა კანტორამ შუამდგომლობა აღძრა უწმ. სინოდის წინაშე, რომ ასესხოს მას სინოდმა პირველ იანვრამდე, ვინემ ახალი კრედიტი გაეხსნება, 25 ათასი მანათი და სინოდის ტიპოგრაფიამაც მუქთად უბეჭდოს ბლანკები. თავის შუამდგომლობას კონტორა ასაბუთებს იმითი, რომ, მას შემდეგ რაც ხაზინადარმა ფული გაფლანგა, კანტორას აღარა აქვს სახსარი შტატის შენახვისათვის და სხვა ხარჯების გასასტუმრებლადაო.

სადღეისო
წერილები

ყველას თითო რაიმე ახირებული ჩვეულება აქვს, და მათ შორის მეც.

ზოგი ძველ მარკებს აგროვებს, ზოგი პეპელაბუზებს, ზოგი ჯლანებს, ზოგი ძვლებს, ზოგი (ყველაზე უფრო ჭკვიანები) ფულებს, მე კი... ვაგროვებ **წერილებს.**

ამ ჟამად თითქმის ორასამდე სხვადასხვა კაცის წერილი მაქვს, განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა, სქესისა და სარწმუნოებისა. მიყვარს ამ წერილების კითხვა! მათში დაუფარავად გამოთქმულია დამწერის სული და გული, აზრი და ფიქრი. დაბეჭდილი, გაზეთის წერილი ხომ არ არის, რომ შეკვეცილ გალამაზებული იყოს.

ვინ იცის რამდენი საიდუმლოებაა ამ წერილებში და ამიტომ ბოდიშს ვიხდი მათ გამომჟღავნებისათვის.

წერილი აგარაკად მყოფ ცოლისა ქმრისადმი.

„სულიკოჯან, მომწყინდა უშენოთ. ნეტა როდის ამოხვალ? ვინ იცის სიცხითა კვდები მანდ! აქ კი მშვენიერი ჰაერია. ხალხიც ბევრია. ლვდლიანთ გიგო ყოველ საღამოთი მოდის ხოლმე ჩვენთან, მიმღერის, მართობს, მეხუმრება სწორედ ამ დროების სტუდენტია! ეჭვი კი არ აიღო, თორემ მე ვიცი შენი?! განა არ იცი ჩემო კეთილო, მე შენს მეტი არავინ შემიყვარდება. მართლა სულიკოჯან! კინაღამ დამავიწყდა, უქმე დღით რომ წამოხვიდე წამომიღე ახალი შლიაპა, პოლსაპოჟკები და სუხარი. ამ კვირია კი არ მოგელი, ბევრი საქმე გექნება. ნახვამდის. გაკოცებ ათჯერ. შენი მარო.

ქმრის პასუხი

მარუსია! კაცს რომ ცოლი აგარაკადა ჰყავდეს, ეჭვიანი არ უნდა იყოს. შენ იცი და შენმა სინიდისმა. მე ოტელო არა ვარ. ათას რამეს რომ მავალებ, საიდან უნდა მოგიტანო? მთელი დღე ვირჩობი ამ ვერანა კანცელარიაში და კი არა მრჩებარა. ჩემი ჯამაგირი ხო იცი,—სულ რაღაც ხუთ ექვს თუმანს ვიღებ, ხარჯი კი?... ეჰ! აბა მოისმინე:

სახლის ქირა 18 მ., მეწვრილმანეს 8 მ., ყასაბს 4 მ. 50 კ., მესარეცხეს 2 მ., ბაყალს 3 მ., მერძევეს 2 მ., მეთულუხეს 2 მ., ვალი 15 მ., შენი კაბის შესაკერი 6 მ. ჩემი სმა-ჭამა (რაც გინდა იანგარიშე) ახლა ათასი წვრილმანი და რაღა მრჩება ვალის მეტი?!. დღეს სახლის პატრონს პირი ავარიდე, ჯერ ქირა არ მიმიცია და ლამის ჯავრით მოკვდეს. ხომ იცი რა წუწურაქი, საძაგელი დედაკაცია. სულ ძელები აღნება. იობის მატლივით სულ ჩემ ფანჯრების წინაა ატუზული. მეწვრილმანესაკენ ხომ ეს ორი კვირაა არ გამივლია, მრცხვენიან. მოვალეებმა ხომ ლამის დამარჩონ. არ ვიცი ღმერთმანი საით გადავვარდე: უფულო კაცი და ქეციანი ძაღლი ორივ ერთია. იყავი კარგად და ჯანსაღად. შენი თედო.

მოსწავლე ქალის წერილი მეგობარ ქალისადმი.

დუშკა კატია! დღეს გაკვეთილზე სულ გაბრუებული ვიჯექი. ჩვენი ყბედი მასწავლებლის ისაია ფედოროვიჩის ლაქლაქი არც კი მესმოდა. რას ამბობ, მე სიცოცხლე მწყურიან, მე სიყვარული მწადიან, ესენი კი რაღაც გეომეტრიას მიხსნიან. ნეტა რაში გამომადგება პიფაგორის ნიფხავი?? კატია, შენ არ წაგიკითხავს ზოლას ნანა? რომ იცოდე რა მშვენიერებაა! ეხ, ЛЮБОВЬ, ЛЮБОВЬ! რა ტკბილი გრძნობაა. გუშინ გავიცანი ერთი გიმნაზიელი, გიმნაზიელი კი არა ნამდვილი გუსარია! კოხტა, გამოწკეპილი, კარსეტივით ბლუზა, დაწკეპილი ულვაშები, მშვენიერი თვალები, მშვენიერი მიხვრა-მოხვრა, კარგი სიმღერა... НЕТЪ, მეტის მოწერა აღარ შემიძლია... მგონი შემიყვარდა კიდეც. ოხ, ხელში რომ ჩამივარდეს ასჯერ, ათასჯერ ვაკოცებ, მილიონჯერ, ახ კაკოი ონ დუშკა! სხვა, შენი კავალერი როგორღაა? აი შე კუდიანო! განა არ ვიცი, რომ შენ ის გიყვარს! შენი ტასია.

პასუხი: „მე არავინაც არ მიყვარს. მართალია მიყვარდა, მაგრამ ახლა გადავიყვარე. მართალი რომ გითხრა მე ერთი კაცის სიყვარულით ვერ დავკმაყოფილდები НАДО ЖИЗНЬ ПРОЖИГАТЬ... ამ ჟამად კოტე მეხრუკება აი, სტუდენტი. შენც იცნობ. მეც კატასავით ვეთამაშები. ის რომ ოხრავს, მეცა ვოხრავ, ხოლმე თვალებს ვლულავ და ისე შევყურებ, გეგონება ახლავე გადაეხვევა და აკოცებსო. დაე, დაიწვას, სიამოვნებაც ამაშია. როდის მოხვალ ჩემთან, დუსია? ბევრი ძლიერ ბევრი სალაპარაკო მაქვს. მართლა, ის კი დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩვენი პადრუგა ნატო ОБЪЯСНИЛАСЬ ВЪ ЛЮБВИ, იცნობ იმ ყმაწვილს? ორ კუზიან აქლემსა ჰგავს. ნეტა იმისი რა მოეწონა შენი კატია.

ხულიგანის წერილი.

ერთობაც ასეთი უნდა! რახან ძალადობაზეა საქმე, აწი მე მიყურონ. მიჭირავს ხელში თოფი დაედივარ კარის კარს და სულ ყველას ტყავს ვაძრობ. ვინც არ მომეწონება ვუბძანებ სოფლიდან დაიკარგოს, თორემ ორკაპიკიანი ტყვია და იმისი ჯანი. გუშინ მე და ჩემი ოთხი ამხანაგი ვეწვიეთ ერთ გლეხს მოვახდევინეთ ქვევრი, დავაკვლევინეთ ქათმები და სულ ქუდი ჰერსა ვკარით. როცა კარგა გამოვიბრუჟენით გამოვედით გარედ და ავტეხეთ თოფის სროლა. ვინ, ვინ დაგვიდგება წინ? ვიდრე დროება ჩვენია ასე ვიქეიფებთ. რას მიქვიან, სამართლიანობა, დანდობა, სინანული, დაჰქეიანება. თოფი ყველას! რატომ თავის მოკლა არ იციან? ამ დღეს ერთმა ჩვენმა მეგობარმა შეჭიკვეთა ერთი მის პირადი მტერი სოფლიდან გავაძევო. ხვალ ვეწვევი და განაჩენს წავუკითხავ. ამოდი შენც, ერთი, ნახე რა ყოფაში ვარ და!! შენი გარდაქნეშანი.

ია ეკალაძე.

ერობა კავკასიაში

ქუთაისის სამაზრო სათათბიროს სხდომა.

5 სექტემბერს ქუთაისის მაზრის წარმომადგენელთა თათბირს დიდძალი გარეშე საზოგადოებაც დაესწრო. თავმჯდომარეობდა ისევ ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ო. ნიჟარაძე, რომელიც, სიმართლე უნდა აღვიაროთ, შესანიშნავი თავმჯდომარე აღმოჩნდა.

წინა კრების ოქმის დამტკიცების შემდეგ, წარმომადგენლებმა ი. დ. ბახტაძემ და ი. ა. პატარიძემ განუცხადეს თავმჯდომარეს, თბილისში ამგვარ კრებაზე დამსწრე გარეშე საზოგადოებას სათათბირო ხმის უფლებას აძლევდენ და გთხოვთ ასეთი უფლება აქ დამსწრე საზოგადოებასაც მისცეთო. თავმჯდომარემ შესაძლოდ სცნო, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა, თავის შეხედულებით, ნება მიეცა გარეშე პირებისთვისაც მონაწილეობა მიეღოთ წარმომადგენელთა თათბირში.

ი. დ. ბახტაძემ წარუდგინა სათათბიროს წარმომადგენელთა ერთი ჯგუფის მიერ შედგენილი რეზოლუცია კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ. ამ რეზოლუციაში ის აზრი იყო გატარებული, რომ მთავრობა ახლა მხოლოდ იმიტომ გვაძლევს ერობას, რომ ამით ცოტათი მოგვიმადლიეროს, დაგვაშოშმინოს ნაბოძები ერობა მხოლოდ სხვილ მემამულეებისა, ვაჭრებისა და თვითონ მთავრობის ინტერესებს დაიცავს, და არა ხალხისას; ხალხისთვის საჭიროა დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული ერობა, ისეთი ერობა, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად განაგებდეს ყველა ადგილობრივ საქმეს, როგორც სასოფლო-სამეურნეოსა და სწავლა-განათლებისას, ისე ადმინისტრატიულსაც. ამიტომ ჩვენი ხალხის მიერ არჩეული პირნი ხალხის სახელით გთხოულობთ დამფუძნებელ კრებას, რომელიც უნდა არჩეულ იქმნეს საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირის და ფარულის კენჭის ყრით, განურჩევლად სქესისა, წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. ამ რეზოლუციამ დაუსრულებელი კამათი გამოიწვია, როგორც წარმომადგენელთა, ისე გარეშე საზოგადოების მხრით. ცხრა წარმომადგენელი და რამდენიმე ორატორი გარეშე საზოგადოებიდან დაჟინებით თხოულობდნენ, რომ უცვლელად მიეღოთ ხსენებული რეზოლუცია.

გ. ფ. ზდანოვიჩი საჭიროდ ჰპოვებდა, რომ წარმოდგენილ რეზოლუციისთვის ან კენჭი ეყარათ, თუ რომ ეს რეზოლუცია შედეგი იყო წინა სხდომაზე ნალაპარაკევისა, ან და, თუ შედეგი არ იყო, ამ კრებაზე განეხილათ მუხლი-მუხლად.

ი. ე. გომართელი იმ აზრისა იყო, რომ კითხვა ერობის შემოღების შესახებ ყოველ მხრით უკვე განხილული იყო წარსულ სხდომაზე, ამიტომ ეხლა მხოლოდ კენჭის ყრით უნდა გადაწყდეს რეზოლუციის მიღება თუ არ მიღებაო.

გ. ფ, ზდანოვიჩი აღნიშნავს, რომ რეზოლუციაში არის ისეთი მუხლები, რომელსაც არავინ არ უარყოფს და უცვლელად მიიღებს, მაგრამ შიგ ისეთი მუხლებიც ურევია, რომელთა მიღება შეუძლებლად მიმაჩნია. რეზოლუციაში ნათქვამია, მაგალითად, რომ დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ერობის შემოღების შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება; აი, ამ მუხლის მიღება შეუძლებელია. რაც შეეხება იმ მუხლს, რომლიც საჭიროდ ჰრაცხს დემოკრატიულ ერობის მოთხოვნას, ამას ყველა ეთანხმება; ასეთი ერობის პროექტი შედგენილიცაა, მხოლოდ აქ ჩვენ უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ ეს პროექტი. ამიტომ ორატორი საუმჯობესოდ ჰპოვებდა, მუხლ-მუხლად ეყაროს კენჭი რეზოლუციას.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ, კრების ერთმა ნაწილმა საჭიროდ დაინახა რეზოლუცია გადასცემოდა სარედაქციოდ კრების მიერ არჩეულ კომისიას; მეორე ნაწილი კი საჭიროდ არ ჰპოვებდა სარედაქციო კომისიის არჩევას და თხოულობდა რეზოლუციის უცვლელად მიღებას. კითხვა ფარულ კენჭის ყრით გადაწყდა. 17 კაცი მომხრე აღმოჩნდა რეზოლუციის სარედაქციოდ გადაცემისა, 9 კაცი კი წინააღმდეგი.

კენჭის ყრის შემდეგ ი. გ. გომართელმა და დ. ი. ბახტაძემ განაცხადეს, რეზოლუცია, არსებითად მიღებულია კრებისაგან, კომისიას კი მხოლოდ რეზოლუციის რედაქცია უნდა მიენდოს.

კრების უმეტესობა არ დაეთანხმა ამ განცხადებას და ამტკიცებდა, ჩვენ რეზოლუცია არც არსებითად მიგვიღიაო.

ამ განცხადებამაც დაუსრულებელი კამათი გამოიწვია, რის გამო თავმჯდომარე იძულებული გახდა სხდომა შემდეგის დღისათვის გადაედო.

ისარა. *)

ბელგიის მუშათა პარტიის ისტორიიდან *).

10 აგვისტოს, 1890 წელს, ბელგიის დედა-ქალაქ ბრიუსელში მოხდა ეროვნული დემონსტრაცია, რომელშიაც 75,000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. იმავე წელს, 9 ნოემბერს, პარლამენტში სხდომები უნდა დაწყებულიყო. სწორედ ამ დღისთვის დემონსტრაციები მოამზადეს სხვილ ქალაქებშიაც: ლიუტიხსა, ნამიურსა, ანტვერპენსა, ლუვენსა, ცენტრსა და თვითონ ბრიუსელშიაც. მუშათა დელეგატები რატუშის კარებს მიადგნენ. მათ მიეგებნენ ქალაქის ბურგომისტრი, დეპუტატი რადიკალი ჟანსონი და სენატორი დე-ბრუკერი. ჟანსონმა დელეგატებს პირობა მისცა, პალატაში კონსტიტუციის განხილვას მოვითხოვო და 27 ნოემბერს ეს პირობა აასრულა კიდეც. პალატამ ეს ამბავი ერთხმად მიიღო მხედველობაში და საქმე განსაკუთრებულ კომისიას გადასცა. 26 აპრილს 1892 წელს პალატამ პრინციპიალურად აღიარა კონსტიტუციის გადასინჯვა და 12 ივლისს ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ისევ კომისიას ჩააბარა. 11 აპრილს, 1893 წელს პალატაში დეპუტატმა ჟანსონმა საყოველთაო და თანასწორ საარჩევნო უფლების შემოღება მოითხოვა, მაგრამ პალატამ 115 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 26-სა ეს წინადადება უარჰყო. ამ ამბავს მუშათა პარტიის მთავარმა საბჭომ საერთო გაფიცვის გამოცხადებით გასცა პასუხი. 48 საათის განმავლობაში კავშირთა წარმომადგენელნი მოიწვიეს, მოილაპარაკეს, საბჭოს დადგენილება დაამტკიცეს და მუშაობის შეწყვეტა მოაწესრიგეს. გაფიცვა მთელ ბელგიას მოედო. 18 აპრილს პალატა ნისხენსის პროექტის განხილვას შეუდგა და ეს საქმე იმ კრებაზედვე გადასწყვიტა პალატამ 119 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 14-სა.

იმავე საღამოს მთავარმა საბჭომ მუშაობის განახლება დაადგინა და, რამდენიმე დღის შემდეგ, მთელ ბელგიაში ისევ მშვიდობიანობა და წესრიგი ჩამოვარდა. მალე ამის შემდეგ კარენიონში პარტიის კონგრესი მოხდა, სადაც პარტიის პროგრამისა და წესდების შედგენის გარდა უნდა განეხილათ საკითხი საარჩევნო კავშირების შესახებ, რომელმაც დიდი განხეთქილება ჩამოაგდო პარტიაში. კონგრესმა დაადგინა: შეუთანხმდეს ხოლმე სხვადასხვა (უფრო კი რადიკალებს) პარტიებს არჩევნებში პირველ კენჭის ყრის დროს. გარდა ამისა პარტიამ დაადგინა თავისუფლება მისცეს ადგილობრივ ფედერაციებს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ პარტიის კანდიდატებს პარტიის პროგრამა შეუმცირებლად და შეუცვლელად უნდა გამოეცხადებინათ. ამრიგად პარტიამ არჩევნებში ხელი გაუწოდა მხოლოდ რადიკალებს და უარჰყო დოქტრინერთა აზრი. ამის შემდეგ მუშათა პარტიამ და რადიკალებმა ზოგიერთ საარჩევნო ოლქებში კანდიდატების საერთო სია გამოაცხადეს.

საარჩევნო აგიტაცია საოცარის ძალით, მხნეობით და ენერგიით მიდიოდა: ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა ხმის ამოღება, აგიტაცია და პროპაგანდა ხდებოდა; დიდ ქალაქებსა და მიყრუებულ სოფლებში, ეკლესიის კარებთან და ქარხნებში. ზოგი პროპაგანდისტი დღეში შვიდ ალაგს ლაპარაკობდა. სამ თვეში პარტიამ 4000 კრება გამართა და ორი მილიონი ბროშურა დაარიგა. შედეგი სხვა პარტიებისთვისაც მოულოდნელი იყო და თვითონ მუშათა პარტიისთვისაც: მონსში პირველ არჩევანებზე მუშათა პარტიის მიერ დასახელებული ყველა კანდიდატი აირჩიეს. ლიუტიხსა და შარლერუაში სოციალისტთა კანდიდატების ერთი ნაწილი პირველ არჩევანზევე აირჩიეს, მეორე ნაწილი კი ხელმეორედ შეება კლერიკალთა კანდიდატებს და მაინც გაიმარჯვა. ნამიურში ყველა სოციალისტებისა და რადიკალების კანდიდატებიც აირჩიეს. სამაგიეროდ მუშათა პარტია ძალიან დამარცხდა ფლანდრიაში და ბრიუსელში, ისიც ლიბერალების დახმარებით.

მუშათა პარტიამ პროვინციების არჩევნებში ისეთი გამარჯვება ვერ მოიპოვა, როგორიც მოსალოდნელი იყო ამის შემდეგ. მიზეზი, ჯერ ერთი, ის იყო, რომ თვითონ პარტიასაც არ ჰყავდა შესაფერი კანდიდატი და მეორე—საარჩევნო უფლება აქ უფრო შეზღუდული იყო, ვიდრე სხვაგან. მაგრამ მუშათა პარტიამ ზოგიერთ ადგილებში მაინც გაიმარჯვა: სამ პროვინციაში—ბრაბანტს, ლიუტიხსა და გენეგაუში ზოგი მისი კანდიდატი არჩეულ იქმნა; ლიუტიხში სოციალისტებმა და რადიკალებმა მთელი საპროვინციო საბჭოც კი ხელში ჩაიგდეს. ამ პროვინციებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან საპროვინციო სენატორთა ინსტიტუტის საშუალებით პარტიას შეეძლო სენატშიაც გაეგზავნა თავისი დეპუტატი, რაიც მუშათა პარტიამ ლიბერალებთან და რადიკალებთან შეთანხმებით გამოიყენა და სენატში სამი სენატორი აირჩია.

ახალმა პარტიამ მძინარა, დახავსებული და დაჟანგებული პარლამენტი ისე უცებ გამოაცოცხლა და ისეთი გრიგალი ასტეხა იქაურობაში, რომ საპარლამენტო კრებების ახალი ანგარიშები წინანდელ 17,700 ცალის მაგივრად 1895 წელს 61,000 ცალად დაიბეჭდა და გასაღდა.

მუშათა პარტიის დეპუტატთა საპარლამენტო მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რადგან, ლიბერალთა პარტიის განადგურების შემდეგ, კლერიკალურ უმეტესობას სერიოზულ წინააღმდეგობას მხოლოდ ეს პარტია-ღა უწევდა. ამ პარტიამ ერთი მძლავრად შეკრული ჯგუფი შეადგინა და საერთო ტაქტიკა შეიმუშავა. ცენტრის პარტიასთან კეთილ დამოკიდებულების შესანარჩუნებლად ეს ჯგუფი დრო-გამოშვებით საგენერალო საბჭოსთანაც ჰმართავდა მოლაპარაკებას. ამ პარტიის ასეთმა სიკაჟემ და მედგარმა წინააღმდეგობამ მთელი პარლამენტი არია, იქაურობაში ერთი აურ-ზაური ასტეხა და პარტიული ბრძოლა უკიდურესობამდის მიიყვანა.

მთავრობამ პარლამენტში შეიტანა ახალი კანონ-პროექტი, რომლის ძალით სათემო არჩევნებისთვის საჭირო იყო 3 წლის განმავლობაში ერთ ადგილზე ცხოვრება, 30 წლის ხნიერება და დიფერენციალური ცენზი. თუმცა მემარცხენეთ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს კლერიკალებს და მედგრად შეებრძოლნენ მათ რეაქციონურ ტენდენციებს, მაგრამ კლერიკალურმა უმეტესობამ მაინც თავისი გაიტანა და კანონ-პროექტი კანონად აქცია. მუშათა მთავარ საბჭოს ამის გამო საერთო გაფიცვის მოხდენა უნდოდა, მაგრამ ვერ გაბედა, რადგან ხალხი დაღლილიც იყო და გულაცრუებულიც.

ამას შემდეგ განახლდა ცხარე ბრძოლა საყოველთაო საარჩევნო უფლებისთვის. ლიბერალები უფრო პროპორციონალურ არჩევნებს ემხრობოდნენ, რადგან ამ გვარი არჩევნები უმცირესობის ინტერესებსაც იცავდა. მუშათა პარტიის ნაწილი ლიბერალებს მიემხრო და პროპორციონალური არჩევნები მოითხოვა, მეორე ნაწილი კი არ დაეთანხმა და ისევ საყოველთაო არჩევნებს ჩაჰკიდა ხელი. ამის გამო მუშათა პარტიამ კონგრესი გამართა და პროპორციონალური წარმომადგენლობა მოითხოვა. ამ გვარ არჩევნების მოსისხლე მტრებად გამოვიდნენ ერთი მხრივ უკიდურეს რეაქციონერთა პარტია თავის ბელადით ვესტით, მეორე მხრივ კი—მუშათა პარტიის უკიდურესი მემარცხენენი, ბორინაჟელები, რაიც მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ბორინაჟში ამომრჩეველთა უმეტესობა სოციალისტები იყვნენ. თვითონ პარტიის ბელადი პროფესორი ვანდერველდეც პროპორციონალურ წარმომადგენლობას მიემხრო, რადგან იგი უფრო სამართლიანია: უმეტესობა უმცირესობას ველარ დასჩაგრავს, რადგან მასაც ეყოლება წარმომადგენლებით.

24 ნოემბერს, 1899 წელს ბელგიაში პროპორციონალური წარმომადგენლობის კანონ-პროექტი დაკანონდა, მაგრამ მაისის არჩევნებში ისევ მთავრობამ გაიმარჯვა. ამის შემდეგ ისევ საყოველთაო საარჩევნო წესის შემოღების აგიტაცია დაიწყო. ლიბერალებმა 1899 წლის კანონით მოიგეს და მემარცხენეთა აგიტაციას მტრულად დაუწყეს ყურება. პარლამენტში მუშათა პარტიამ და რადიკალთა 25-მა დეპუტატმა „საყოველთაო საარჩევნო უფლების" ჯგუფი შეადგინა და ბრძოლა დაიწყო. მუშათა პარტიის ერთ ნაწილს თავის იმედი არ ჰქონდა და ლიბერალებსა და ქრისტიანულ დემოკრატებს შეუკავშირდა, რისთვისაც პროგრამიდან მუშათა პარტიას ზოგი მუხლი დაათმობინა, პროპორციონალური წარმომადგენლობა აღიარა და დროებით უარჰყო საარჩევნო უფლება ქალებისათვის.

მთავრობაც მოემზადა საბრძოლველად. 8 აპრილს, 1902 წელს აგიტაციის გამო პოლიციასა და ხალხს შეტაკება მოუხდათ. მთავრობამ საჩქაროდ მოიწვია მოქალაქეთა გვარდია, რომელშიაც მხოლოდ მდიდრებმა მიიღეს მონაწილეობა და მობილიზაცია გამოაცხადა. საგენერალო საბჭომაც პასუხი გასცა და საერთო გაფიცვა მოახდინა. რამდენიმე დღის შემდეგ 300,000-მდე გაფიცული მუშა მზად იყო საბრძოლველად. ათი დღის შემდეგ, ე. ი. 18 აპრილს, პალატამ უარი განაცხადა კონსტიტუციის განხილვაზე. მუშები ამ ამბავს წინდაწინვე მოელოდნენ და ძალიან აღელდნენ. არეულობა მოხდა მხოლოდ ლუვენში, სადაც გვარდიამ გაუფრთხილებლად ორგან სროლა აუტეხა ხალხს. ლიბერალებმა მუშათა უკიდურესი ზომები ხელზე დაიხვიეს და ჩამოეცალნენ. მეფესაც სთხოვეს შუამდგომლობა, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა. ბოლოს მთავარმა საბჭომ უმცირესობის მტკიცე პროტესტს ყურადღება არ მიაქცია და მუშებს მუშაობის დაწყება სთხოვა. ამ ამბავმა სამთო მაღნების მუშებში და სხვაგანაც ისეთი აყალმაყალი ასტეხა, რომ საბჭომ საჩქაროდ, 4 მაისისთვის პარტიის კონგრესი მოიწვია და ძლივს ძლიობით მოიპოვა ნდობის რეზოლუცია.

ამ კრიზისმა პარტიას ცოტაოდენი ზარალიც მოუტანა. 25 მაისის არჩევნებიდან გამოჩნდა, რომ თუმცა პარტიას მომხრეთა რიცხვი არ დაჰკლებოდა, მაგრამ არც არაფერი მოჰმატებოდა. მეორე მხრით ამ ამბავმა გამოიწვია კლერიკალთა გაძლიერება და მხოლოდ ეკონომიურ ინტერესების დასაცავად ორგანიზაციების დაარსება.

—

მეტად საინტერესოა ჩვენთვის ბელგიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა, რომელიც ორიოდე სიტყვითაც გამოითქმის.

პროგრამის პირველი ნაწილი—პროგრამა მაქსიმუმი ისეთივეა, როგორიც სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატიულ პარტიებისა; მას მოსდევს პროგრამა მინიმუმი, ე. ი. ის საშუალებანი და ზომები, რომელნიც, პარტიის აზრით, საჭიროა სოციალიზმის მისაღწევად. ეს პროგრამა შესდგება სამ ნაწილისაგან. პროგრამა პოლიტიკური, ეკონომიური და კომუნალური. პოლიტიკური პროგრამა თხოულობს: საარჩევნო რეფორმას, **საკანონმდებლო მთავრობის დეცენტრალიზაციას, კომუნალურ ავტონომიას**, პირდაპირ სახალხო კანონმდებლობას, სამოსწავლო რეფორმას, სახელმწიფოსაგან ეკლესიის განშორებას და სხ. კომუნალური პროგრამა თხოულობს სათემო თვითმართველობას, რომელსაც ექვემდებარება სამოსწავლო საქმე, შრომის რეგლამენტაციას, საზოგადოებრივ ქველმოქმედებას, ფინანსებსა და სხ. ეკონომიური პროგრამაც სამ ნაწილად გაიყოფება: პირველი (საზოგადო ზომები) თხოულობს: სამუშაო სტატისტიკის მოწყობას, ასოციაციების დაკანონებას, სამუშაო ხელშეკრულების ყოველმხრივ რეგლამენტაციას, საზოგადოებრივ ქველმოქმედების მაგივრად საზოგადო დაზღვევის სისტემის შემოღებას, არაპირდაპირ გადასახადის მაგივრად შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შემოღებას, თუთუნისა და სპირტის სახელმწიფო მონოპოლიას, სახელმწიფო მეურნეობის თანდათანობით გაფართოებას (მაღაროები და ლითონების ქარხნები სახელმწიფომ უნდა შეიძინოს; ნაციონალიზაცია ტყეებისა, სათემო ქონების აღდგენა ან გაფართოება და მიწა თანდათან ან სახელმწიფოს ან თემებს უნდა გადაეცეს); საზოგადოებრივ საქმეების ავტონომიას. მეორე ნაწილი (სპეციალური ზომები სამრეწველო მუშებისათვის) თხოულობს: კოალიციის სრულს თავისუფლებას, სამრეწველო შრომის ყოველმხრივ რეგლამენტაციას; საფაბრიკო ინსპექციის არჩევას მრეწველობისა და შრომის საბჭოთა მიერ, პროფესიონალურ სასამართლოების რეორგანიზაციას შრომის რეგლამენტაციის საპყრობილეებში. მესამე ნაწილი (სპეციალური ზომები სამეურნეო მუშებისთვის) თხოულობს: სამეურნეო საზოგადოებათა რეორგანიზაციას, საიჯარო ხელშეკრულებათა რეგლამენტაციას, სახელმწიფო დაზღვევას მოუსავლობისა, სეტყვისა, წყალდიდობისა და გვალვისაგან, ორგანიზაციას უფასო სამეურნეო სწავლისას; თემების მიერ სამეურნეო მანქანების შეძენას, რომელნიც გლეხების ხელში უნდა იქმნეს, სოფლად უფასო მკურნალობის მოწყობას, სანადირო კანონის რეფორმას, სახელმწიფოსი და კომუნების მონაწილეობით სამეურნეო კოოპერაციების დაარსებას და სამეურნეო კრედიტის ორგანიზაციას.

მ. ა.

რუსეთი

—

წლეულ რუსეთის მხედრობას სევასტოპოლის ომის 50 წლის იუბილეი უნდა გადაეხადა, მაგრამ უმაღლეს ბრძანებით **იუბილეის სულ აღარ გადაიხდიან** (რ. ს).

◆ **განთქმულ „რუსკოე სობრანიე"-ში განხეთქილება მოხდა:** „პატრიოტების" ერთმა ნაწილმა უფრო მარცხნივ მიიწია, მეორე კი ისევ ძველ ალაგას დარჩა. დღეს თუ ხვალ, ეს კლუბი დაიშლება კიდეც. „სობრანიე" ამ დღეებში საკუთარ გაზეთის გამოცემას აპირობდა, მაგრამ ამაზედაც ხელი აუღია (რ. ს.).

◆ რადგან ნავთი მეტად გაძვირდა და მისი ხმარება მექარხნეებისთვის ხელსაყრელი არ არის, ამიტომ სორმოვოს ქარხნების პატრონები დროებით **მუშაობის შეჩერებას აპირობენ**. ამ ქარხნებში 10,000-ზე მეტი მუშაა (რ. ვ.).

◆ ალექსანდროვსკიდან „რუს"-ს დეპეშით ატყობინებენ: „აგრარულმა მოძრაობამ ხელმეორედ იფეთქა. გლეხები მდიდარ მემამულეებსაც უპირობენ მიწის წართმევას, გერმანულ კოლონისტებსაც და წვრილ მესაკუთრეებსაც. ზოგი დიდი მემამულე ხიფათში ჩავარდა. სოფლად კაზაკები გაგზავნეს (რ.).

◆ 7 სექტემბერს, პეტერბურგის **სამხედრო საოლქო სასამართლომ** გაარჩია საქმე სამ ლატიშისა—ტიშელსატისა, მილმენსისა და მერიკიულისა, რომელთაც რევალში სამხედრო დარაჯზე თავდასხმა ბრალდებათ. საქმე იმის დროის წესებით გაარჩიეს. განაჩენი ჯერ გამოცხადებული არ არის (რ. ვ.).

◆ 3 სექტემბერს, მინსკში ერთ ახალგაზდას **ჯიბეში ყუმბარა გაუსკდა.** ყუმბარამ ახალგაზდა უცნობი სულ დაგლიჯა და ოთხი გამვლელი დასჭრა (რ. ვ.).

◆ მანჯურიიდან ჯარის გადმოყვანას შუა რუსეთში **დიდი დრო და ხარჯი დასჭირდება. ყველაზე წინ გამოგზავნიან ავადმყოფებსა და დაჭრილებს,** მერე სანიტარულ და სექიმო ნაწილს, მერე ქარავანს და ბოლოს ჯარს. ჯერ ის კორპუსები წამოვლენ, რომელნიც პირველად ჩავიდნენ ბრძოლის ველზე, მერე კი ისინი, რომელნიც ბოლოს ჩავიდნენ (ს.).

◆ მოსკოვის კონსერვატორიის ერთმა საუკეთესო პროფესორმა ტანეევმა **„მავნე" მიმართულებისა გამო** ძალაუნებურად სამსახურს თავი დაანება (რ. ვ.).

◆ პეტერბურგის სამხედრო საოლქო **სასამართლო ამ დღეებში გაარჩევს კირასირთა ლეიბგვარდიის პოლკის პოლკოვნიკის ავენარიუსის საქმეს.** ზემოხსენებულმა პოლკოვნიკმა, 24 ივლისს, რაღაც მიზეზით სალდათს მარკოვს ისე მაგრა დაარტყა მუშტი თავში, რომ მარკოვი იმ ღამესვე გარდაიცვალა. გარდა ამისა, ამავე პოლკოვნიკს მეორე სალდათის ცემაც ბრალდება (რ.).

◆ ამ დღეებში **სენატი გაარჩევს პოლიციის მინისტრის ტრეპოვის საქმეს** ტრეპოვმა მოსკოვის ობერ-პოლიცმეისტერად ყოფნის დროს დემენკოვას კანტორა გაატეხინა პოლიციას. დემენკოვამ ტრეპოვს უჩივლა და 40000 მან. ზარალის გადახდა მოსთხოვა. ეს საქმე პირველად გაარჩია მოსკოვის სასამართლომ, რომელმაც ტრეპოვს 40000 მანათის გადახდა მიუსაჯა (რ. ვ.).

პრესსის თავისუფლება. პოლონური გაზეთი „კურიერ კოციენნი" აცხადებს: „ჩვენს ხელის მომწერთ ვატყობინებთ, რომ ვარშავის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ჩვენი გაზეთი აღარ გამოვა იმ დრომდის, სანამ ვარშავაში ომის დროის წესები იქნება" (რ. ვ).

◆ **გრინგმუტის საქმე ცუდად არის.** მოსკოვის უნივერსიტეტის გაზეთი „მოსკ. ვედ", როგორც ვიცით, გრინგმუტს აქვს აღებული იჯარით. ამ უნივერსიტეტის პროფესორებმა ამ გაზეთის დაბრუნება განიზრახეს და შესაფერი თხოვნა მიართვეს საერო განათლების მინისტრს, მაგრამ მინისტრმა უპასუხა, რომ ვადის დამლევამდის იჯარის პირობას ვერ დავარღვევო. პროფესორებმა იჯარის პირობა გასინჯეს და ხელმეორედ მისწერეს მინისტრს: პირობის ძალით „მოსკ. ვედ" 5000 ხელის მომწერზე ნაკლები არ უნდა ჰყავდეს, ნამდვილად კი „მოსკ.-ვედ."-ს ამ ჟამად ამის ნახევარიც არა ჰყავსო. ამის გამო პირობა დარღვეულ იქმნა გრინგმუტისაგან, რომელმაც 5,000 ხელის მომწერი ვერ იშოვაო. პროფესორები თხოულობენ პირობა დარღვეულად იცნოს მინისტრმა და გაზეთი უნივერსიტეტს დაუბრუნოს. (რ.)

◆ მოსკოვის საშუალო სასწავლებლების უფროსმა ცირკულიარით შეატყობინა მასწავლებლებს, რომ ვინც წევრად ჩაეწერება მასწავლებელთა კავშირში, **მაშინვე სამსახურიდან დაითხოვო.** (ს. ო.).

◆ პერმში **სალდათებს სახაზინო არყის საწყობი გაუტეხიათ** და არაყი დაულევიათ. ვერც პოლიციამ და ვერც საწყობის ადმინისტრაციამ გალეშილ სალდათებთან ვერაფერი გაარიგა. (ს. ო.).

ღამის დეპეშები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

15 სექტემბერი.

პეტერბურგი, 12 სექტემბერი. მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა, რომ ვისაც მართლმადიდებლობიდან სხვა რომელსამე სარწმუნოებაზე სურს გადასვლა, თხოვნა ამის შესახებ უსათუოდ გუბერნატორს უნდა გადასცეს. თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს, რომელ სარწმუნოების მიღება სურს მთხოვნელს.

პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლების მუსულმანი ახალგაზდობა სომეხ-სტუდენტებს კარგის თვალით არ უყურებს. ამიტომ სომეხმა და თათარმა სტუდენტებმა გადასწყვიტეს, როგორც „რუს"-ი გადმოგვცემს, ერთად შეიკრიბონ და, უთანხმოების თავიდან ასაცილებლად, მოილაპარაკონ.

„რუს"-ი მომავალ მინისტრთა კაბინეტის შესახებ შემდეგ ცნობებს იტყობინება: პირველ მინისტრად შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ვიტტეს ასახელებენ, ფინანსთა მინისტრად—რომანოვს, იუსტიციის მინისტრად—ნელდეს, გარეშე საქმეთა—ლამზდორფს, მეურნეობის მინისტრად—ხრისანის თავად-აზნაურთა წინამძღოლს სუხომლინოვს, სამხედრო მინისტრად—რედიგერს, განათლების მინისტრად—პროფესორ ტრუბეცკოის, სინოდის ობერ-პროკურორად—შერემეტიევს.

„სლოვო" გადმოგვცემს: სამხედრო მინისტრი ჯარში გაროზგვის შემოღების შესახებ კორპუსის უფროსებს შეეკითხა, მაგრამ ყველასაგან ისეთი პასუხი მიიღო, რომ ამისთანა წესის შემოღება ჯარში სასურველი არ არისო.

„რუს"-ს გაუგია, რომ, რაწამს ნელდე კავკასიიდან დაბრუნდება, მაშინვე პეტერბურგში რჩევას გამართავს. რჩევას კავკასიის უფროსი მთავარ-მართებელი თავადი გალიცინიც დაესწრობა, ამ რჩევაზე კავკასიაში არეულობის ჩასაქრობად ენერგიული ზომები უნდა შეიმუშაონ.

22 სექტემბერს პეტერბურგში მრეწველები განიხილავენ საერთო საკითხს იმის შესახებ, თუ ბაქოს ნავთის ქარხნებში მუშაობა მალე როგორ განაახლონ.

(რუსეთის და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

პეტერბურგი. 13 სექტემბერი. სახელმწიფო სათათბიროს პირველი სხდომა, თანახმად ხელმწიფე იმპერატორის სურვილისა, პეტერბურგში მოხდება, ტავრიის სასახლეში, და პეტერბურგის მახლობელ ადგილებში.

სტოკჰოლმი, 13 სექტემბერი. შვეციის დელეგატებმა კარლსტადტში გადასწყვიტეს, სადავო საქმეები განსახილველად სამედიატორო სასამართლოს გადასცენ ხოლმე.

ტოკიო, 13 სექტემბერი. რუსეთის ზოგიერთ გაზეთების ცნობებმა, ვითომც იაპონელებს სახალინში მცხოვრებლები აკლეს და გაძარცვეს, აქ ყველანი გააკვირვა, რადგანაც ეს ცნობები სრული სიცრუეა. ფიქრობენ, რომ კრეისერ „ნოვიკს" წყლიდან ოქტომბრის პირველ რიცხვებში ამოიღებენ.

სტოკჰოლმი, 13 სექტემბერი. უნიის გაწყვეტის საკითხში შვეცია და ნორვეგია შეთანხმდნენ. ეს შეთანხმება ძალაში მაშინ შევა, როდესაც მას შვეციის რიკსდაგი და ნორვეგიის სტორტინგი განიხილავს.

მოსკოვი, 13 სექტემბერი. უნივერსიტეტის რექტორმა გამოაცხადა, რომ სწავლა 15 სექტემბრიდან დაიწყებაო. სტუდენტების კრებები ნება დართულია იმ შემთხვევაში, თუ სხვა სტუდენტებს სწავლას არ დაუშლიან.

პეკინი, 13 სექტემბერი. გუშინდელ საქმის გამო საიმპერატორო ბრძანება გამოიცა. ამ ბრძანებიდან სჩანს, რომ სხვათა შორის, მისის მთავარე, ცაიძეს, დაჭრილი ყოფილა. ნაბრძანებია, დანაშაულობის გამოსაძიებლად ენერგიული ზომები მიიღონ. ჩინურ გაზეთების სიტყვით, ბოროტ-გამზრახველები ხმებს ავრცელებენ, ვითომც ეს საქმე უცხოელებს ჩაედინოთ

მინსკი, 13 სექტემბერი. საბჭომ მოისმინა ორას ებრაელის განცხადება იმის შესახებ, რომ სასწავლებლებში ვაკანსიები არ არის, და გადასწყვიტეს, იშუამდგომლოს ფინანსთა მინისტრთან, რომ ყმაწვილები ქალაქის კომმერციულ სასწავლებელში მიიღონ.

ლონდონი, 13 სექტემბერი. გაზეთებმა გამოაცხადეს, რომ მთავრობას სრულიადაც არა სურს სინგაპური მეორე გიბრალტარად გადააქციოს.

სან სებასტიანი, 12 სექტემბერი. კატეგორიულად უარჰყოფენ იმ ხმებს, ვითომც მეფე ალფონსს ბატტემბერგის პრინცესსაზე ჯვარი დაეწეროს.

შანხაი, 13 სექტემბერი, ფიქრობენ, რომ პეკინში ყუმბარა გადააგდო სტუდენტმა, რომელსაც განათლება იაპონიაში მიუღია.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი თ. **პავლე ი. თუმანიშვილი.**

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილით 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 წ.)ს. 31

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუალამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 . 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 6 წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ)

—

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი
ავჭალის ქუჩაზე დაარსდა
ჭრა-კერვის ახალი სკოლა
ვასწავლით თეთრეულობის კერვას და აბრეშუმის ძაფებითა და ოქრომკედით მოქარგვას. სკოლაში სამი განყოფილებაა. სწავლის ფასი—შეძლებისამებრ. მოწაფეებს მივიღებთ მხოლოდ 22 ღვინობისთვემდე.
ჩვენი ადრესი: **ავჭალის ქუჩა, სახლი ყულუმბაროვისა № 33.** 4—4.

ახალი წიგნი —
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა
გამოცემა „ცისკარისა" № 2.—ფასი 15 კაპ.
იყიდება შემდეგ ადგილებში:
ტფილისი: გაზ. „ივერიის" კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებაში" და წიგნის მაღაზიაში „ცოდნა" სოსიკო მერკვილაძესთან.

---

*) ქუთაისის მაზრის სათათბიროს ანგარიშს, რომელიც „ივერიის" გუშინდელ ნომერშია დაბეჭდილი, შეცდომით ბოლოში აწერია: ისარიძე, უნდა იყოს: ისარა.

*) სტეკლოვის თხზულებიდან.

Дозволено цензурою' Тифлисъ, 13 Сентября 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5.